



საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

ხარისხის მართვის სამსახურის მიერ
2018-2019 სასწავლო წელს განხორციელებული
მონიტორინგის

ა ნ გ ა რ ი შ ი

თბილისი

2019 წელი

წინასიტყვაობა

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ.

დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის მოპოვებისათვის გამოყენებული იყო:

- კითხვარები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით
- ინტერვიუების შედეგები
- დოკუმენტების შემოწმება
- სამუშაო პროცესზე დასწრება
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა ვიზიტის შედეგები

წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისათვის ხარისხის მართვის სამსახურის მეთოდოლოგიური საფუძვლებია:

- ❖ ხარისხის მართვის სამსახურის დებულება
- ❖ ხარისხის მონიტორინგის ინსტრუქცია
- ❖ ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია 2018-2024 წლებში
- ❖ ხარისხის მართვის სამსახურის 2019 წლის სამოქმედო გეგმა
- ❖ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები

შესავალი	6
2018-2019 სასწავლო წელს შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ში (შემდგომში „აკადემია“) განხორციელებული მნიშვნელოვანი მოვლენები:.....	6
აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის მონიტორინგს დაქვემდებარებული მიმართულებები:	6
აკადემიის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებულია შემდეგი სახის კვლევა:.....	7
მონიტორინგს დაქვემდებარებული პროცესები	8
აკადემიაში მიმდინარე პროცესების შეფასება	9
პროცესი №1 - სტრატეგიული დაგეგმვა.....	9
<i>რეკომენდაციები პროცესის №1 - სტრატეგიული დაგეგმვა განხორციელების გაუმჯობესების მიმართულებით:</i>	11
პროცესი №2 - სტრატეგიული და ერთწლიანი განვითარების გეგმები.....	12
<i>რეკომენდაციები პროცესის №2 - სტრატეგიული და ერთწლიანი განვითარების გეგმების განხორციელების გაუმჯობესების მიმართულებით:</i>	13
პროცესი №3 - დოკუმენტაციის აღრიცხვოს სანდოობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა)...	14
<i>რეკომენდაციები პროცესის №3 - დოკუმენტაციის აღრიცხვოს სანდოობის, საქმისწარმოების (დოკუმენტბრუნვა) განხორციელების გაუმჯობესების მიმართულებით:.....</i>	16
პროცესი №4 - შიდა მარეგულირებელი აქტები	16
<i>რეკომენდაციები პროცესის №4 - შიდა მარეგულირებელი აქტების შემუშავებისა და გამოყენების პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით:.....</i>	17
პროცესი №5 - მატერიალური რესურსის მართვა	18
<i>რეკომენდაციები პროცესის №5 - მატერიალური რესურსის მართვის გაუმჯობესების მიმართულებით:</i>	24
პროცესი №6 - ადამიანური რესურსების მართვა.....	25
<i>რეკომენდაციები პროცესის №6 - ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესების მიმართულებით:</i>	27
პროცესი №7 - ხარისხის მართვა	28
<i>რეკომენდაციები პროცესის №7 – ხარისხის მართვის გაუმჯობესების მიმართულებით:</i>	30
პროცესი №8 - საბიბლიოთეკო სერვისები	30

<i>რეკომენდაციები პროცესის №8 – საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით:</i>	32
პროცესი №9 - საზოგადოებასთან ურთიერთობები.....	32
<i>რეკომენდაციები პროცესის №9 – საზოგადოებასთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიმართულებით:</i>	34
პროცესი №10 - უსაფრთხოება, წესრიგისა და ჰიგიენის დაცვა.....	35
<i>რეკომენდაციები პროცესის №10 – უსაფრთხოება, წესრიგისა და ჰიგიენის დაცვის.....</i>	37
<i>გაუმჯობესების მიმართულებით:</i>	37
პროცესი №11 - სტუდენტური სერვისები.....	37
<i>რეკომენდაციები პროცესის №11 – სტუდენტური სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით:</i>	39
პროცესი №12 - სასწავლო პროცესის ორგანიზება	40
<i>რეკომენდაციები პროცესის №12 – სასწავლო პროცესის ორგანიზების გაუმჯობესების მიმართულებით:</i>	43
პროცესი №13 - სტუდენტთა კორპუსის მართვა	44
<i>რეკომენდაციები პროცესის №13 – სტუდენტთა კორპუსის მართვის გაუმჯობესების მიმართულებით:</i>	46
პროცესი №14 - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	46
<i>რეკომენდაციები პროცესის №14 – საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გაუმჯობესების მიმართულებით:</i>	48
აკადემიის სერვისებით სარგებლობის კმაყოფილების კვლევის შედეგები.....	49
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა.....	56
<i>რეკომენდაციები აკადემიის სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით</i>	57
სასწავლო პროცესის შეფასება პროფესიული სტუდენტების მიერ.....	58
<i>შეფასების შედეგების ანალიზი</i>	68
სასწავლო პროცესისა და მასწავლებელთა შეფასება მსმენელების მიერ.....	69
პროგრამების მიხედვით მსმენელთა კმაყოფილების მაჩვენებლები.....	70
მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების შეფასება.....	74
აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის მიერ ჩატარებული ტრენინგის შეფასება ტრენინგის მონაწილეთა მიერ.....	76

მოდულის განმახორციელებელი პირების თვითშეფასების შედეგების ანალიზი	78
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის შედეგები...	112
აქტივობა N1 - მეცადინეობების მიმდინარეობისა და ხარისხის კონტროლი.....	113
აქტივობა N2 - კალენდარული გეგმების პერიოდული გადახედვა	113
აქტივობა N3 - შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება.....	114
აქტივობა N4 - შეფასების ინსტრუმენტების შემოწმება/ვალიდაცია	114
აქტივობა N5 - სწავლის შედეგების დადასტურების მონიტორინგი	114
აქტივობა N6 - სწავლის შედეგების დადასტურების მონიტორინგის შედეგების განხილვა.....	114
აქტივობა N7 - მოდულური პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოკითხვა	114
აქტივობა N8 - მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა	115
აქტივობა N9 - მოდულის კალენდარული გეგმების ანალიზი	115
აქტივობა N10 - საგანმანათლებლო რესურსების/სასწავლო მასალების მონიტორინგი.....	117
აქტივობა N11 - მოდულებისა და პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოების მონიტორინგი.....	117
<i>რეკომენდაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გაუმჯობესების მიმართულებით.....</i>	<i>118</i>

შესავალი

2018-2019 სასწავლო წელს შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ში (შემდგომში „აკადემია“) განხორციელებული მნიშვნელოვანი მოვლენებია:

- ☛ წარმატებით გავლილი რეავტორიზაცია;
- ☛ სრულად გადასვლა მოდულური პროგრამების განხორციელებაზე, აკადემიამ რეავტორიზაციისას მოიპოვა 9 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, მათ შორის 2018-2019 სასწავლო წელს დაიწყო სასწავლო პროცესი 6 მოდულურ პროგრამაზე;
- ☛ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აკრედიტაციის მოპოვება **შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომზადების აკრედიტებული პროგრამის** განხორციელების მიზნით;
- ☛ წარმატებით განხორციელებული 2 ნაკადის (საშემოდგომო/საგაზაფხულო) სწავლება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს **„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“** ფარგლებში;
- ☛ წარმატებით გავლილი პროგრამების დამატების პროცედურა, რის შედეგადაც აკადემიამ მოიპოვა კიდევ ორი საგანმანათლებლო პროგრამის - საქთნო საქმე და ფარმაცია განხორციელების უფლება;
- ☛ წარმატებით გავლილი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის პროცესი;
- ☛ წარმატებით მოპოვებული „სასკოლო მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში 2 პროექტის - **პროფესიული უნარების კურსი საფინანსო სერვისებში** განხორციელების უფლება.

აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის მონიტორინგს დაქვემდებარებული მიმართულებებია:

- სწავლება (დაგეგმვა, მიმდინარეობა);
- პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება;
- სტუდენტთა შეფასება;
- კვალიფიკაციის მინიჭება;
- სტატუსის მინიჭება, შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა;
- პროგრამის/მასში ცვლილების/გაუქმების ინიცირება და განხორციელება;
- რეესტრის წარმოება;
- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების კონტროლი;

- ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ცენტრის ინფორმირების წესის და ვადების კონტროლი;
- დაწესებულების კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები, მშობლები/მეურვეები, კურსდამთავრებულები);
- ვებ გვერდის და კატალოგის ადეკვატურობა;
- შიდა კომუნიკაციის გამართულობა, ტექნიკური (ქსელის) გამართულობა, გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები და ვადები;
- წესრიგის დაცვის მექანიზმების და უსაფრთხოების სისტემების (მექანიზმების) ფუნქციონირება;
- მატერიალური ბაზის ადეკვატურობა, განვითარება;
- სსსმ და შშმ პირების სერვისები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პრაქტიკა;
- სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა საჭირო მასალებით, ნარჩენების მენეჯმენტი;
- პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარება;
- სამსახურში მიღება-გათავისუფლება, პროცედურები;
- საერთაშორისო ურთიერთობები;
- კვლევები;
- კურიკულუმის გარეშე აქტივობები;
- სტუდენტური სერვისები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი.

აკადემიის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებულია შემდეგი სახის კვლევა:

- აკადემიის პერსონალის (საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი - პროფესიული განათლების მასწავლებელი, მოწვეული სპეციალისტი, პრაქტიკის ინსტრუქტორი) შეფასება;
- ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
- სტუდენტთა სერვისების ეფექტიანობის შეფასება;
- სსსმ პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ეფექტიანობის შეფასება;
- მენეჯმენტის და თვითშეფასების ხარისხის შეფასება.

მონიტორინგს დაქვემდებარებული პროცესები

აკადემიის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებულია მონიტორინგი შემდეგ ძირითად პროცესებზე:

პროცესი №1 - სტრატეგიული დაგეგმვა

პროცესი №2 - სტრატეგიული და ერთწლიანი განვითარების გეგმები

პროცესი №3 - დოკუმენტაციის აღრიცხვოს სანდოობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა)

პროცესი №4 - შიდა მარეგულირებელი აქტები

პროცესი №5 - მატერიალური რესურსის მართვა

პროცესი №6 - ადამიანური რესურსების მართვა

პროცესი №7 - ხარისხის მართვა

პროცესი №8 - საბიბლიოთეკო სერვისები

პროცესი №9 - საზოგადოებასთან ურთიერთობები

პროცესი №10 - უსაფრთხოება, წესრიგისა და ჰიგიენის დაცვა

პროცესი №11 - სტუდენტური სერვისები

პროცესი №12 - სასწავლო პროცესის ორგანიზება

პროცესი №13 - სტუდენტთა კორპუსის მართვა

პროცესი №14 - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

აკადემიაში მიმდინარე პროცესების შეფასება

პროცესი №1 - სტრატეგიული დაგეგმვა

დისკრიპტორი №1.1 - არსებობს მისიის, ხედვის, ღირებულების შემუშავების პროცედურა შეფასება:

აკადემიაში არსებობს მისიის, ხედვის, ღირებულების შემუშავების პროცედურა, რაც გაწერილია აკადემიის დირექტორის 2018 წლის 8 ნოემბრის N155 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში - მისიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია

მტკიცებულება:

- მისიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, დამტკიცებული დირექტორის 2018 წლის 8 ნოემბრის N155 ბრძანებით.

დისკრიპტორი №1.2 - მისიის, ხედვის, ღირებულების შემუშავებისას დაცულია შემუშავების პროცედურის მოთხოვნები

შეფასება:

2018 წელს აკადემიაში გამოცხადდა რეორგანიზაცია და აკადემიამ მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსით მიიღო ავტორიზაცია. რის გამოც აკადემიის სენატის 2018 წლის 20 თებერვლის სხდომაზე (ოქმი N03) განხილულ იქნა აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები.

ვინაიდან მისიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია დამტკიცებულია 2018 წლის 8 ნოემბერს, ამ თარიღამდე შემუშავებული მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცედურა არ შეესაბამება არსებულ მეთოდოლოგიას.

მტკიცებულება:

- აკადემიის სენატის 2018 წლის 20 თებერვლის N03 საოქმო გადაწყვეტილება
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებები

დისკრიპტორი №1.3 - მისიის, ხედვის, ღირებულები დამტკიცებულია პროცედურის მიხედვით მისიის, ხედვის, ღირებულები გაზიარებულია საზოგადოებისათვის

შეფასება:

აკადემიის სენატის 2018 წლის 20 თებერვლის საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, დირექტორმა 2018 წლის 26 თებერვალს გამოსცა №011 ბრძანება აკადემიის მისიის, ხედვის,

ღირებულების დამტკიცების თაობაზე. ხოლო ბრძანების საჯაროობა, მისი აკადემიის ვებ-გვერდზე განთავსების გზით დაევალა აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტს. აკადემიის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროობის უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ინსფორმაცია განთავსდა ფოიეში თვალსაჩინო ადგილას, 2018-2019 სასწავლო დასაწყისში პროფესიულ სტუდენტებსა და მათ მშობლებთან გამართული საინფორმაციო შეხვედრა გაიხსნა მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებით, ასევე აღნიშნული განთავსდა პროფესიული სტუდენტებისათვის შექმნილ საინფორმაციო დოკუმენტზე - „სტუდენტის სამახსოვრო.“

მტკიცებულება:

- დირექტორის 2018 წლის 26 თებერვლის №011 ბრძანება
- ბუკლეტები - სტუდენტის სამახსოვრო

დისკრიპტორი №1.4 - არსებობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცედურა

შეფასება:

აკადემიაში არსებობს არსებობს მისიის, ხედვის, ღირებულების შემუშავების პროცედურა, რაც გაწერილია აკადემიის დირექტორის 2018 წლის 8 ნოემბრის N155 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში - მისიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია

მტკიცებულება:

- მისიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, დამტკიცებული დირექტორის 2018 წლის 8 ნოემბრის N155 ბრძანებით.

დისკრიპტორი №1.5 - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებულია დადგენილი პროცედურის მიხედვით

შეფასება:

აკადემიის სენატის 2018 წლის 20 თებერვლის სხდომაზე (ოქმი N03) განხილულ იქნა აკადემიის სტრატეგიული გეგმის პროექტი და დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 26 თებერვლის №012 ბრძანებით.

სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია 2018 წლის 5 ოქტომბრის №124 ბრძანებით. ვინაიდან მისიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია დამტკიცებულია 2018 წლის 8 ნოემბერს, ამ თარიღამდე შემუშავებული მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცედურა არ შეესაბამება არსებულ მეთოდოლოგიას.

მტკიცებულება:

- აკადემიის სენატის 2018 წლის 20 თებერვლის №03 საოქმო გადაწყვეტილება
- დირექტორის 2018 წლის 26 თებერვლის №012 ბრძანება

დისკრიპტორი №1.6 - არსებობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმები

შეფასება:

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმები გაწერილია მისიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაში

მტკიცებულება:

- მისიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია

დისკრიპტორი №1.7 - არსებობს გეგმების შესრულების ანგარიშგების პროცედურები

შეფასება:

გეგმების შესრულების ანგარიშგების პროცედურები მოცემულია მისიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაში

მტკიცებულება:

- მისიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია

დისკრიპტორი №1.8 - აკადემია ახორციელებს ანგარიშგებას დადგენილი პროცედურების შესაბამისად

შეფასება:

აკადემია ახორციელებს ყოველკვარტალურ ანგარიშგებას სამოქმედო გეგმების შესრულებასთან დაკავშირებით. თუმცა, საჭიროებს მენეჯმენტის ორგანიზებულობის მაჩვენებლის გაზრდას, ინფორმაციის დროულ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით. სტრატეგიული გეგმის შესრულების თაობაზე ანგარიშგება უნდა განხორციელდეს სამ წელიწადში ერთხელ.

მტკიცებულება:

- სამოქმედო გეგმის შესრულების კვარტალური ანგარიშები;
- მისიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია

რეკომენდაციები პროცესის №1 - სტრატეგიული დაგეგმვა განხორციელების გაუმჯობესების მიმართულებით:

- ✎ რეკომენდებულია მისიის, ხედვით, ღირებულებების ცვლილებების განხორციელებისას შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს დოკუმენტის პროექტს;

- რეკომენდებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს დოკუმენტის პროექტს;
- რეკომენდებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შუალედური და კვარტალური ანგარიშგების ადმინისტრირება დაევალოს კონკრეტულ პირს ან სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს. საკითხის მნიშვნელობისა და დანიშნულების გათვალისწინებით, რეკომენდებულია აღნიშნულ სამუშაო ჯგუფს უხელმძღვანელოს დაწესებულების დირექტორმა. აღნიშნული უზრუნველყოფს ანგარიშგების ვადებისა და ოპერატიულობის დაცვას;
- რეკომენდებულია სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში, გარდა აკადემიის პერსონალისა, შევიდეს აკადემიის პარტნიორი/დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები, რაც ხელს შეუწყობს მესამე მხარის ინტერესების გათვალისწინებას.

პროცესი №2 - სტრატეგიული და ერთწლიანი განვითარების გეგმები

დისკრიპტორი №2.1 - აკადემიას შემუშავებული აქვს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

შეფასება:

აკადემიას შემუშავებული აქვს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც განხილულია აკადემიის სენატის 2018 წლის 20 თებერვლის სხდომაზე (ოქმი N03) და დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 26 თებერვლის №012 ბრძანებით

მტკიცებულება:

- აკადემიის სენატის 2018 წლის 20 თებერვლის სხდომაზე (ოქმი N03)
- დირექტორის 2018 წლის 26 თებერვლის №012 ბრძანება

დისკრიპტორი №2.2- აკადემია ახორციელებს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ყოველწლიურ გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში მათ კორექტირებას

შეფასება:

ყოველი წლიური გეგმის შედგენამდე აკადემიაში ხორციელდება სტრატეგიული გეგმის გადახედვა და წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების იდენტიფიცირება, რაც შესაბამისობაშია სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან. შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2018-2024) შესატანი ცვლილებები განხილულია აკადემიის სენატის 2018 წლის 3 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი N05) და

ცვლილებების შეტანის თაობაზე დირექტორის მიერ 2018 წლის 5 ოქტომბრის გამოცემულია №124 ბრძანება.

მტკიცებულება:

- აკადემიის სენატის 2018 წლის 3 ოქტომბრის სხდომა (ოქმი N05)
- დირექტორის 2018 წლის 5 ოქტომბრის №124 ბრძანება

დისკრიპტორი №2.3 აკადემიაში არსებობს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც რეალისტურია და გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან

შეფასება:

დირექტორის 2018 წლის 5 ოქტომბრის N124 ბრძანებით დამტკიცებულია აკადემიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. სამოქმედო გეგმაში გასაზღვრულია მიზნის მიღწევის ინდიკატორები, რისკები, შესრულების მტკიცებულებები, რესურსები (მატერიალური, ადამიანური, ფინანსური), აქტივობების განხორციელების პერიოდი, პასუხისმგებელი პირები და თანაშემსრულებლები.

მტკიცებულება:

- დირექტორის 2018 წლის 5 ოქტომბრის N124 ბრძანება
- 2019 წლის სამოქმედო გეგმა

დისკრიპტორი №2.4 სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების საჯაროობა უზრუნველყოფილია

შეფასება:

აკადემიის სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების საჯაროობის უზრუნველსაყოფად დოკუმენტები განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე.

მტკიცებულება:

- www.sba.edu.ge

რეკომენდაციები პროცესის №2 - სტრატეგიული და ერთწლიანი განვითარების გეგმების განხორციელების გაუმჯობესების მიმართულებით:

- ✎ რეკომენდებულია აკადემიის ყველა სტრუქტურულმა/სამშტატო ერთეულმა აკადემიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმების აქტივობებისა და სტრუქტურული ერთეულის ფუნქციამოვალეობებიდან გამომდინარე, შეიმუშავოს სტრუქტურული ერთეულის/სამშტატო ერთეულის ოპერატიული (ექსტოვიანი/ერთწლიანი) სამოქმედო გეგმა;

- რეკომენდებულია აკადემიის ყველა სტრუქტურულმა/საშტატო ერთეულმა საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, შეიმუშაოს აქტივობების კალენდარი (ან ოპერაციულ გეგმა გაიწეროს დროში), რაც უზრუნველყოფს პროცესების სრულფასოვან იდენტიფიცირებასა და დროში ადმინისტრირებას, შესაბამისად გამორიცხავს საქმის არაჯეროვან/არასრულფასოვან წარმართვას;
- რეკომენდებულია უფლებამოსილი პირის/სამუშაო ჯგუფის მიერ შეიქმნას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის გეგმა.

პროცესი №3 - დოკუმენტაციის აღრიცხვის სანდოობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა)

დისკრიპტორი №3.1 - აკადემიას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც ითვალისწინებს კორესპონდენციის, დაწესებულებაში შექმნილი და მიღებული აქტების სანდო აღრიცხვას

შეფასება:

აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქცია დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2016 წლის 26 დეკემბრის N162 ბრძანებით. ინსტრუქციის ყველა პუნქტის შესრულება ამოქმედებულია. ინსტრუქცია ეყრდნობა ქვეყანაში არსებულ ისეთ საკანონმდებლო და კანონქმევდებარე აქტებს, როგორცაა: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №414 “საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ”, 01.07.1999; საქართველოს როვნული სტანდარტი (სსტ76:2009) ”საორგანიზაციო-განკარგულებითი დოკუმენტები. დოკუმენტების გაფორმების მოთხოვნები”, 22.09.2009; საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №174 ”დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების, 15.06.2007; საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N70 “ელექტრონული მატარებლის სახით შესანახი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ”, 31.03.2010. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 2010 წლის 31 მარტს დამტკიცებული №72 ბრძანება „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“ დამტკიცების შესახებ“

მტკიცებულება:

- აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქცია
- აკადემიის დირექტორის 2016 წლის 26 დეკემბრის N162 ბრძანება

დისკრიპტორი №3.2 - აკადემის კრებების, თათბირების ოქმები, შეფასების უწყისები და სხვა გამოცემული აქტები რეგისტრირდება საამისოდ გამოყოფილ ჟურნალებში, რომელიც დამუშავებულია საქმისწარმოების წესების შესაბამისად

შეფასება:

აკადემის კრებების, თათბირების ოქმები, შეფასების უწყისები და სხვა გამოცემული აქტები რეგისტრირდება საამისოდ გამოყოფილ ჟურნალებში, რომელიც დამუშავებულია საქმისწარმოების წესების შესაბამისად.

მტკიცებულება:

- კრებების, თათბირების ოქმები, შეფასების უწყისები და სხვა გამოცემული აქტები ს რეისტრაციის ჟურნალები

დისკრიპტორი №3.3 - აკადემიაში საქმისწარმოების სისტემატიზაციის მიზნით შემუშავებულია საქმეთა ნომენკლატურა

შეფასება:

აკადემიის დირექტორის 2019 წლის 3 იანვრის №002 ბრძანებით დამტკიცებულია აკადემიის 2019 წლის საქმეთა ნომენკლატურა

მტკიცებულება:

- აკადემიის დირექტორის 2019 წლის 3 იანვრის №002 ბრძანება
- აკადემიის 2019 წლის საქმეთა ნომენკლატურა

დისკრიპტორი №3.4 - აკადემიის ყველა სტრუქტურული ერთეული, საქმიანობას ახორციელებს აკადემიის საქმეთა ნომენკლატურის მიხედვით

შეფასება:

აკადემიის ყველა სტრუქტურული ერთეული და საშტატო პერსონალისათვის ცნობილია საქმეთა ნომენკლატურის მოთხოვნები, თუმცა მათი შესრულების მაჩვენებლები არასახარბიელოა. აღნიშნული კომპონენტი დეტალურად შეფასებულია ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასების კომპონენტში

მტკიცებულება:

- ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუშაობა შეფასების კითხვარები/რეკომენდაციები

რეკომენდაციები პროცესის №3 - დოკუმენტაციის აღრიცხვის სანდოობის, საქმისწარმოების (დოკუმენტბრუნვა) განხორციელების გაუმჯობესების მიმართულებით:

- რეკომენდებულია საქმისწარმოების სისტემატიზაციის უზრუნველსაყოფად, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (პროგრამული უზრუნველყოფა) შექმნა;
- რეკომენდებულია აკადემიის ყველა სტრუქტურულმა/საშტატო ერთეულმა საქმიანობისას დაიცვას აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციისა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები (ვრცლად იხილეთ დანართი 1-ში)

პროცესი №4 - შიდა მარეგულირებელი აქტები

დისკრიპტორი №4.1 - აკადემიაში მიმდინარე ყველა პროცესისათვის შემუშავებულია შიდა მარეგულირებელი აქტები

შეფასება:

აკადემიაში მიმდინარე ყველა პროცესისათვის შემუშავებულია შიდა მარეგულირებელი აქტი. აკადემიის დებულებით განსაზღვრულია ამა თუ იმ პროცესის მარეგულირებელი აქტის განხილვასა და დამტკიცებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები (მაგალითად: სენატი, დირექტორი). არსებობს აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტების რეესტრი.

მტკიცებულება:

- აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტები
- აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტების რეესტრი

დისკრიპტორი №4.2 - არსებობს შიდა მარეგულირებელი აქტების შემუშავების პროცედურა

შეფასება:

აკადემიაში შიდა მარეგულირებელ აქტებს შეიმუშავებს ინიციატორი და ამტკიცებს დოკუმენტის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო (დირექტორი, სენატი). შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავების პროცედურა არ არის დოკუმენტირებული.

მტკიცებულება:

- აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტები
- აკადემიის დებულება

დისკრიპტორი №4.3 - არსებობს შიდა მარეგულირებელი აქტების აქტუალიზების/მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა

შეფასება:

შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებში ცვლილებების შეტანისა და აქტუალიზების პროცედურა არ არის დოკუმენტირებული. თუმცა შიდა მარეგულირებელი აქტები აქტუალიზებულია და მასში ცვლილებები განხორციელებულია კანონმდებლობისა და დაწესებულებაში მიმდინარე პროცედურების შესაბამისად.

მტკიცებულება:

- აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტები

დისკრიპტორი №4.4 - არსებობს შიდა მარეგულირებელი აქტების დამტკიცების/ცვლილებების შეტანის თაობაზე დაინტერესებული პირების ინფორმირების მტკიცებულებები

შეფასება:

აკადემიაში უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულ შიდა მარეგულირებელ ყველა აქტს ახლავს პერსონალისათვის დოკუმენტის გაცნობის ფურცელი.

მტკიცებულება:

- აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტები

დისკრიპტორი №4.5 - აკადემიაში დაცულია შიდა მარეგულირებელი აქტების შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და დაინტერესებული პირების ინფორმირების პროცედურები

შეფასება:

აკადემიაში შიდა მარეგულირებელი აქტების შემუშავება, მასში ცვლილებების შეტანა და დაინტერესებული პირების ინფორმირება ხორციელდება, თუმცა აღნიშნული პროდურის მარეგულირებელი აქტი არ არსებობს.

მტკიცებულება:

რეკომენდაციები პროცესის №4 - შიდა მარეგულირებელი აქტების შემუშავებისა და გამოყენების პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით:

- ✘ რეკომენდებულია შიდა მარეგულირებელ აქტების იდენტიფიცირებისა და მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად, თითოეულ მარეგულირებელ აქტს მიენიჭოს შესაბამისი ნომერი;
- ✘ რეკომენდებულია განისაზღვროს შიდა მარეგულირებელი აქტების რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი;
- ✘ რეკომენდებულია აკადემიის ძირითადი და დამხმარე პროცესებიდან გამომდინარე შეიქმნას ე.წ. პროცესების რუქა;
- ✘ რეკომენდებულია შემუშავდეს შიდა მარეგულირებელი აქტების/დოკუმენტების შემუშავებისა და მათში ცვლილებების შეტანის პროცედურა;

☞ რეკომენდებულია განისაზღვროს შიდა მარეგულირებელი აქტების პერსონალისათვის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირი.

პროცესი №5 - მატერიალური რესურსის მართვა

დისკრიპტორი №5.1 - დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

აკადემიას გააჩნია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, პერსონალის (მასწავლებლები) სამუშაო სივრცე (სამასწავლებლო), საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორიები, უცხო ენის ლაბორატორია, სამედიცინო ლაბორატორიები, დარგობრივი კაბინეტები. სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია დაფები, მერხები, მაგიდები, სკამები, ციფრული აპარატურა: პროექტორები, მონიტორები, პრინტერები, ხმის და გამოსახულების წარმოების საშუალებები. კომპიუტერები აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი პროგრამებით („ORIS-ბუღალტერია“, „ინფო საწარმო“ (FMG SOFT) საბაჟო საინფორმაციო სისტემა ASYCUDA, Lardi-Trans-ლოგისტიკა), საბანკო კომპიუტერული პროგრამა „ალტა“, შშმ (მხედველობა დაქვეითებული და უსინათლო) პირებისათვის სპეციალური სასწავლო კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა.

აკადემიაში არის დიდი საკონფერენციო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური აპარატურითა და ინვენტარით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი კვების ბლოკი.

აკადემიაში უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო:

- ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა – ელექტროენერჯის დამოუკიდებელი წყარო და გენერატორი;
- კეთილმოწყობილი სველი წერტილები, რომელიც უზრუნველყოფილია ცხელი და ცივი წყლით და ადაპტირებულია შშმ პირებისათვის. სასმელი წყალი გამიჯნულია სველი წერტილებისგან. სველი წერტილები ცალ-ცალკეა ქალებისა და მამაკაცებისათვის.
- აკადემიის ყველა აუდიტორიასა და კაბინეტში უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათება და ვენტილაცია.

აკადემია უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

მტკიცებულება:

- აკადემიის ინფრასტრუქტურა
- ინვენტარისა და აღჭურვილობის ფლობის დოკუმენტები

დისკრიპტორი №5.2 - დაწესებულებაში არსებობს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის პროცედურები

შეფასება:

აკადემიის დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის N080 ბრძანებით დამტკიცებულია **ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები**. აკადემიაში საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების ოპერატიულად და ხარისხიანად უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. დაწესებულებაში შექმნილია საგანგებო შტაბი. გაწერილია საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესები და ფუნქციონირების მოვალეობები, რეაგირების ჯგუფის შემადგენლობა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.

დაცვის ინსპექტორები ახორციელებენ პერსონალისა და სტუდენტების ინსტრუქტაჟსა და სწავლებას. ასევე, სისტემატურად ატარებენ ევაკუაციის იმიტირებულ პროცედურას, რომელიც ხორციელდება ზემოაღნიშნული ინსტრუქტაჟის შესაბამისად. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სამაშველო სამსახურის ნომრები. აკადემიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა გუნდი.

შენიშნაში განთავსებულია საევაკუაციო გასასვლელების მიმმართველები. გეგმებზე დატანილია ტელეფონის ნომრები: სახანძრო-სამაშველო დანაყოფისა და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების გამომახებისათვის.

მტკიცებულება:

- დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის N080 ბრძანება
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები

დისკრიპტორი №5.3 - არსებობს პირველადი გადაუდებელი დახმარების შესაძლებლობა**შეფასება:**

აკადემიაში ფუნქციონირებს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახური. სამსახურს ხელმძღვანელობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ლიცენზირებული ზოგადი პროფილის ექიმი. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების ინვენტარით და სამკურნალო საშუალებებით. აკადემიის პერსონალს გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების პრაქტიკული კურსი, რაც დასტურდება მათ პირად საქმეში განთავსებული სერტიფიკატებით.

მტკიცებულება:

- აკადემიის სტრუქტურა
- აკადემიის სამტატო განრიგი
- პერსონალის პირადი საქმე
- სამკურნალო საშუალებების შესყიდვის დოკუმენტები
- სამედიცინო კაბინეტი

დისკრიპტორი №5.4 - არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

შეფასება:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით, განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; დადგენილი წესით, ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ვარგისიანობის ვადის გადამოწმება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მტკიცებულება:

- დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის N080 ბრძანება
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები
- ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

დისკრიპტორი №5.5 - თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა

შეფასება:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული საევაკუაციო გეგმები გამოკრულია გეგმით მითითებულ ადგილებში აკადემიის მთელ შენობაში, საევაკუაციო გასასვლელებთან და დერეფნების კედლებზე.

მტკიცებულება:

- დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის N080 ბრძანება
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები
- საევაკუაციო გეგმები და მიმმართველები

დისკრიპტორი №5.6 - არსებობს წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

შეფასება:

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიას ჰყავს დაცვის 3 ინსპექტორი. აკადემიას შემუშავებული აქვს დაცვის ინსპექტორთა მორიგეობის განრიგი, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფილია აკადემიის 24 საათიანი რეჟიმით დაცვა. ინსპექტორთა უფლება-მოვალეობები გაწერილია აკადემიის დებულებით, შემუშავებულია დაცვის ინსპექტორთა სამუშაო აღწერილობები.

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები დარეგულირებულია აკადემიის „ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურებით“, ხოლო დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტების ქცევის წესები, ურთიერთობის ეთიკური სტანდარტები აღწერილია აკადემიის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია აკადემიის ვებ-გვერდზე.

აკადემიის გარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია ვიდეო-კონტროლის სისტემით.

მტკიცებულება:

- დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის N080 ბრძანება
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები
- დაცვის ინსპექტორების პირადი საქმეები

დისკრიპტორი №5.7 - დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის

შეფასება:

დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებულ გარემოს. დაწესებულების მთელ შენობაში დამონტაჟებულია პანდუსები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და აკადემიის სერვისების სრულ ხელმისაწვდომობას.

დაწესებულებაში მოწყობილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მოსასვენებელი ოთახი, სველი წერტილი, რომლებიც უზრუნველყოფილია შესაბამისი სტანდარტებითა და აღჭურვილობით.

დაწესებულება მდებარეობს უსინათლოებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონში, ამიტომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ კატეგორიის შშმ პირებს, მათთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას. საქართველოს უსინათლოთა კავშირთან პარტნიორობისა და გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, აკადემიას გადმოეცა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ამ კატეგორიის საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის სასწავლო მასალების, ლიტერატურის აუდიოჩანაწერების მომზადება და ელექტრონული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვანი აღქმის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

აკადემიას ხელშეკრულებით ჰყავს აყვანილი ჟესტური ენის თარჯიმანი და ტექსტური მასალის ხმოვანი აღქმის პროგრამის მასწავლებლები.

მტკიცებულება:

- პერსონალის პირადი საქმეები
- პროგრამული უზრუნველყოფა

დისკრიპტორი №5.8 - აკადემიის უძრავი ქონება არის აკადემიის მფლობელობაში/საკუთრებაში

შეფასება:

შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA საკუთრების უფლებით ფლობს ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილ №18-22-ში არსებულ 1990.54 კვ.მ. შენობა-ნაგებობას (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №01.18.12.007.059).

შენობის პირველი სართულის საერთო ფართი არის 1005.67 კვ.მ. მათ შორის, სასწავლო ფართი არის 514.1 კვ.მ. ხოლო დამხმარე - 491.57 კვ.მ.

შენობის მეორე სართულის საერთო ფართი არის 849.24 კვ.მ. მათ შორის, სასწავლო ფართი არის 522.42 კვ.მ. ხოლო დამხმარე - 326.82 კვ.მ.

შენობის მესამე სართულის საერთო ფართი არის 135.63 კვ.მ.

მტკიცებულება:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზები

დისკრიპტორი №5.9 - აკადემიაში ხორციელდება მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია, რომლისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი წესი

შეფასება:

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ის დირექტორის 2017 წლის 20 ნოემბრის N126 ბრძანებით დამტკიცებულია ინვენტარიზაციის ჩატარების წესი. აკადემიაში ყოველწლიურად ხორციელდება მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია, რისთვისაც დირექტორის ბრძანების იქმნება ინვენტარიზაციის კომისია.

მტკიცებულება:

- დირექტორის 2017 წლის 20 ნოემბრის N126 ბრძანება
- ინვენტარიზაციის ჩატარების წესი
- ინვენტარიზაციის შედეგები

დისკრიპტორი №5.10 - აკადემიაში შესყიდვებს ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი, რომელიც მოცემულია სამუშაო აღწერილობაში

შეფასება:

აკადემიაში შესყიდვებს ახორციელებს ფინანსური მენეჯერი აკადემიის დირექტორთან შეთანხმებით, თუმცა აღნიშნული ფუნქცია არ არის მოცემული ფინანსური მენეჯერის სამუშაოს აღწერილობაში.

მტკიცებულება:

- ფინანსური მენეჯერის სამუშაოს აღწერილობა

დისკრიპტორი №5.11 - აკადემიაში არსებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის არსებობს შესაბამისი ინვენტრით აღჭურვილი აუდიტორია/ლაბორატორია

შეფასება:

ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის არსებობს შესაბამისი ინვენტრით აღჭურვილი აუდიტორია/ლაბორატორია, შესწავლილია აკადემიის სასწავლო გამოს გამტარუნარიანობა შემუშავებულია დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გარემო და აღჭურვილობა

მტკიცებულება:

- აკადემიის ინსტრასტრუქტურა
- საგანმანათლებლო პროგრამები
- სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის დოკუმენტი

დისკრიპტორი №5.12 - აკადემიის საინფორმაციო რესურსების დაცვის მიზნით შემუშავებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურა, გამოყოფილია ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი და უზრუნველყოფილია ინფორმაციის დაცულობა

შეფასება:

აკადემიის საინფორმაციო რესურსების დაცვის მიზნით შემუშავებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2019 წლის 15 მარტის №021 ბრძანებით. ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი არის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, რომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება. აკადემიაში უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და ინფორმაციის დაცულობა, თუმცა რეკომენდებულია კომპიუტერულ ლაბორატორიებში კომპიუტერული ტექნიკის/შესაძლებლობების გაუმჯობესება. აკადემიის პროფესიული სტუდენტების/მსმენელების/პერსონალის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, არსებობს მათი თანხმობის დოკუმენტები პერსონალურ მონაცემთა გამოყენების თაობაზე.

მტკიცებულება:

- დირექტორის 2019 წლის 15 მარტის №021 ბრძანება
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა

დისკრიპტორი №5.13 - აკადემიაში მოწესრიგებულია კომუნიკაციების კომპონენტი (ინტერნეტი, ელ. ენერგია, წყალი, გათბობა), გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამის უწყებებთან და ხორციელდება მათი მოწოდება უწყვეტად

აკადემია არის ელ. ენერგიის, წლისა და გაზის შესაბამისი კომპანიების აბონენტი და იხდის ყოველთვიურ გადასახადს. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ელ. ენერგიის უწყვეტობა, ვინაიდან გარდა დენის წყაროს ცენტრალიზებული სისტემისა, აკადემიაში არსებობს გენერატორი. აკადემიაში მოწყობილია ცენტრალური გათბობის სისტემა. ცალკეულ

აუდიტორიებში ფუნქციონირებს გაგრილების სისტემა/კონდენციონერები. ინტერნეტით სარგებლობის მიზნებისათვის ხელშეკრულება გაფორმებული აკომპანია „გლობალ ერთთან“, თუმცა ინტერნეტ მომსახურება, მათ შორის უსადენო ინტერნეტი საჭიროებს გაუმჯობესებას.

რეკომენდაციები პროცესის №5 - მატერიალური რესურსის მართვის გაუმჯობესების მიმართულებით:

- ✘ რეკომენდებულია საგანგებო სიტუაციების რეაგირების მართვის ჯგუფის შემადგენლობაში ცვლილებების განხორციელებისას, აკადემიამ უზრუნველყოს ახალი წევრის ტრენინგი/ინსტრუქტაჟი/მომზადება საგანგებო სიტუაციების მართვის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად;
- ✘ რეკომენდებულია სრულყოფილად წარიმართოს სამედიცინო ანკეტებისა და მომართვიანობის ჟურნალის წარმოება. ვადაგასული სამკურნალო საშუალებები დაკომპლექტეს და განადგურდეს კანონმდებლობითა და აკადემიის მიერ დადგენილი წესით;
- ✘ რეკომენდებულია განისაზღვროს შესყიდვების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, და აღნიშნული ვალდებულება დარეგულირდეს პერსონალთან გაფორმებულ სამუშაო აღწერილობაში;
- ✘ რეკომენდებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით;
- ✘ რეკომენდებულია უსადენო ინტერნეტკავშირის მომსახურების გაუმჯობესება. ინტერნეტის გამოყენების მაღალი საჭიროებისა და უსადენო ინტერნეტის მოწოდების დაბალი ხარისხის გათვალისწინებით, სასწავლო აუდიტორიებში რეკომენდებულია სადენიანი ინტერნეტკავშირის მოწყობა;
- ✘ რეკომენდებულია ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მონიტორინგის განხორციელება, მისი სისტემტიზაცია და შედეგების გაუმჯობესების მაჩვენებლების დოკუმენტირება;
- ✘ რეკომენდებულია შეიქმნას აკადემიის მიერ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა/პერსონალის პირადი ინფორმაციის დაცვის ვადებულების თაობა პერსონალის ინფორმირების დოკუმენტი (ჩანაწერი სამუშაოს აღწერილობაში ან დირექტორის ერთიანი ბრძანება ან სხვა);
- ✘ რეკომენდებულია პერსონალთან და სტუდენტებთან კომუნიკაციის სიმარტივისათვის შეიქმნას ერთიანი საკომუნიკაციო სისტემა, მათ შორის ელექტრონული ფოსტების ერთიანი ჯგუფი და განისაზღვროს აღნიშნულის მართვაზე პასუხისმგებელი პირი;
- ✘ რეკომენდებულია მოეწყოს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა დასასვენებელი სივრცე, მათ შორის სტუდენტთა სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

პროცესი №6 - ადამიანური რესურსების მართვა

დისკრიპტორი № 6.1 - აკადემიაში შემუშავებულია პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დანიშნვის, პროფესიული განვითარებისა და ახალი თანამშრომლების დაკვალიანების პროცედურას

შეფასება:

აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ითვალისწინებს პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დანიშნვის, პროფესიული განვითარებისა და ახალი თანამშრომლების დაკვალიანების პროცედურას. პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის N080 ბრძანებით.

მტკიცებულება:

- დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის N080 ბრძანება
- პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები

დისკრიპტორი № 6.2 - აკადემიაში მიმდინარეობს პერსონალის საქმიანობის შეფასება

შეფასება:

აკადემიაში პერსონალის შეფასება მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებით: ადმინისტრაციული პერსონალი აფასებს საკუთარ თავს, ადმინისტრაციულ პერსონალს აფასებს მისი ზემდგომი, ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობას აფასებს ხარისხის მართვის სამსახური. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აფასებს საკუთარ თავს, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალს აფასებს პროფესიული სტუდენტები/მსმენელები, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალს აფასებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი.

მტკიცებულება:

- შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის წესი
- ხარისხის მართვის მონიტორინგის ინსტრუქცია
- პერსონალის მიერ შევსებული კითხვარები
- ფერსონალის შეფასების შევსებული კითხვარები

დისკრიპტორი № 6.3 - აკადემიაში შემუშავებულია პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესი და პირადი საქმეები მოწესრიგებულია ამ წესის მიხედვით

შეფასება:

პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესი რეგულირდება აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით. პირადი საქმეები დამუშავებულია ამ წესის შესაბამისად

მტკიცებულება:

- საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია
- პერსონალის პირადი საქმეები

დისკრიპტორი № 6.4 - აკადემიის საშტატო განრიგის შესაბამისად განსაზღვრული თანამდებობებისათვის შემუშავებულია სამუშაოს აღწერილობები და განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები

შეფასება:

აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები განსაზღვრავს კონკრეტული თანამდებობისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და თანამდებობაზე დანიშვნის პროცედურებს. თითოეული პოზიციისათვის შემუშავებულია სამუშაოს აღწერილობები.

მტკიცებულება:

- პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები
- პერსონალთან გაფორმებული სამუშაოს აღწერილობები
- პერსონალის პირადი საქმეები

დისკრიპტორი № 6.5 - აკადემიის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

შეფასება:

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება სამუშაოს აღწერილობებში მოცემულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

მტკიცებულება:

- პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები
- პერსონალთან გაფორმებული სამუშაოს აღწერილობები
- პერსონალის პირადი საქმეები

დისკრიპტორი № 6.6 - აკადემიის პერსონალთან გაფორმებულია შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები

შეფასება:

პერსონალთან გაფორმებულია შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები. შრომითი ხელშეკრულებები შედგენილია შრომის კოდექსის მიხედვით განსაზღვრული არსებითი პირობების შესაბამისად.

მტკიცებულება:

- პერსონალის პირადი საქმეები

დისკრიპტორი № 6.7 - აკადემიაში გამოყოფილია პირი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალთან შრომითი/მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებას

შეფასება:

აკადემიაში პერსონალთან ხელშეკრულებების გაფორმებას ახორციელებს ფინანსური მენეჯერი. აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობა განსაზღვრული აკადემიის დებულებითა და სამუშაოს აღწერილობით.

მტკიცებულება:

- აკადემიის დებულება
- ფინანსური მენეჯერის სამუშაოს აღწერილობა

დისკრიპტორი № 6.8 - აკადემიაში არსებობს პერსონალის დატვირთვის სქემა და დაცულია საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნები

პერსონალის დატვირთვის სქემა შემუშავებული არ არის

რეკომენდაციები პროცესის №6 - ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესების მიმართულებით:

- რეკომენდებულია შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის სქემა და მისი წარმოების წესი;
- რეკომენდებულია აკადემიის მენეჯმენტის მიერ განისაზღვროს პერსონალის მართვაზე პასუხისმგებელი პირი;
- რეკომენდებულია პერსონალის მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა აწარმოოს პერსონალის განვითარების სტატისტიკა/რეესტრი;
- რეკომენდებულია აკადემიამ შექმნას პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების პლატფორმა/პროცედურა და განახორციელოს მათი წახალისება;
- რეკომენდებულია შემუშავდეს პერსონალის, მათ შორის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმა;
- რეკომენდებულია პერსონალმა სამუშაო პროცესი გააუმჯობესოს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით შემუშავებული რეკომენდაციების მიმართულებით (იხ. დანართი 1)

პროცესი №7 - ხარისხის მართვა

დისკრიპტორი №7.1 - აკადემიაში იდენტიფიცირებულია ძირითადი და დამხმარე პროცესები

შეფასება:

აკადემიაში იდენტიფიცირებული 14 ძირითადი და დამხმარე პროცესი. შემუშავებულია პროცესების მარეგულირებელი შიდა აქტები და ყველა პროცესი ექვემდებარება მონიტორინგს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ.

მტკიცებულება:

- ხარისხის მონიტორინგის ინსტრუქცია
- განხორციელებული მონიტორინგის შედეგები
- აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტები

დისკრიპტორი №7.2 - აკადემიაში მიმდინარე თითოეული პროცესის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია პროცედურები

შეფასება:

აკადემიაში მიმდინარე თითოეული პროცესის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია პროცედურები რეგულაციის სახით, თუმცა რეკომენდებულია მათი სქემების სახით შემუშავება

მტკიცებულება:

- აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტები

დისკრიპტორი №7.3 - აკადემიაში არსებობს რისკების მართვის სისტემა, რომელიც ეყრდნობა პროცესების მონიტორინგს

შეფასება:

ვინაიდან აკადემიაში ახლა მიმდინარეობს პროცესების კომპლექსური მონიტორინგი, რისკების მართვის სისტემა შემუშავებული არ არის

მტკიცებულება:

- სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მონიტორინგის გეგმა
- შიდა პროცესების შეფასების/კვლევის მასალები

დისკრიპტორი №7.4 - აკადემიაში ხორციელდება ყველა პროცესის შეფასება და გაუმჯობესების მიმართულებების განსაზღვრა

შეფასება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით, აკადემიაში იდენტიფიცირებულია 14 პროცესი. თოთხმეტივე პროცესი ექვემდებარე მონიტორინგსა და შეფასებას და იქმენა რეკომენდაციები მათი გაუმჯობესების მიზნით

მტკიცებულება:

- ხარისხის მონიტორინგის ინსტრუქცია
- განხორციელებული მონიტორინგის შედეგები

დისკრიპტორი №7.5 - აკადემიაში ხორციელდება მომხმარებელთა (სტუდენტები, პერსონალი, კურსდამთავრებულები, დასაქმებულები, სხვა) კმაყოფილების კვლევა

შეფასება:

- აკადემიაში მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის მიზნით გამოიკითხება სტუდენტები, მსმენელები, კურსდამთავრებულები, ადმინისტრაციული პერსონალი, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირები

მტკიცებულება:

- ხარისხის მონიტორინგის ინსტრუქცია
- გამოკითხვის კითხვარები

დისკრიპტორი №7.6 - აკადემიაში ხორციელდება ყველა პროცესის შეფასების შედეგების ანგარიშგება უფლებამოსილ პირთან

შეფასება:

აკადემიაში ხარისხის მონიტორინგისა და შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშები წარედგინება აკადემიის დირექტორს

მტკიცებულება:

- ხარისხის მართვის სამსახურის ანგარიშები
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშები

დისკრიპტორი №7.7 - აკადემია, თავის საქმიანობაში ითვალისწინებს სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ რეკომენდაციებს

შეფასება:

აკადემია, თავის საქმიანობაში ითვალისწინებს სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ რეკომენდაციებს, კერძოდ გაზიარებულია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულების რეკომენდაციები.

მტკიცებულება:

- ხარისხის მართვის სამსახურის ანგარიში
- დირექტორის ბრძანებები საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელების შესახებ.

რეკომენდაციები პროცესის №7 – ხარისხის მართვის გაუმჯობესების მიმართულებით:

- რეკომენდებულია ყველა ძირითადი პროცესისათვის შეიქმნას პროცედურის სქემა;
- რისკების მართვის სისტემური მიდგომისათვის რეკომენდებულია შემუშავდეს რისკების მართვის ინსტრუქცია;
- ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მიხედვით დაწესებულებაში განსახორციელებელი სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით, რეკომენდებულია ხარისხის მართვის სამსახურის გაძლიერება პერსონალის რაოდენობის გაზრდით.

პროცესი №8 - საბიბლიოთეკო სერვისები

დისკრიპტორი № 8.1 - აკადემიაში შემუშავებულია საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და საწვებლობის წესები, რომელთა დაცვით მიმდინარეობს ბიბლიოთეკის მუშაობა

შეფასება:

აკადემიაში შემუშავებულია საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის N080 ბრძანებით. ბიბლიოთეკა იცავს დადგენილ რეგულაციას.

მტკიცებულება:

- დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის N080 ბრძანება
- საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი

დისკრიპტორი № 8.2 - ბიბლიოთეკაში არსებობს საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული კატალოგი

შეფასება:

აკადემიაში გამოიყენება საბიბლიოთეკო სისტემა - Open Biblio, სადაც შესაძლებელია საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული მოძიება

მტკიცებულება:

- ხელშეკრულება Open Biblio-სთან;
- Open Biblio-ს სისტემაში რეგისტრირებული საგანმანათლებლო რესურსები

დისკრიპტორი № 8.3 - საბიბლიოთეკო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად

შეფასება:

საბიბლიოთეკო რესურსი აღრიცხულია, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით

მტკიცებულება:

- საგანმანათლებლო რესურსი

დისკრიპტორი № 8.4 - საბიბლიოთეკო რესურსი აღრიცხული და რეგისტრირებულია შესაბამის ჟურნალებში

შეფასება:

ბიბლიოთეკის გამგე აწარმოებს ოთხი სახის ჟურნალს, სადაც რეგისტრირებულია საგანმანათლებლო რესურსის ენების მიხედვით. ჟურნალები დამუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად.

მტკიცებულება:

- საბიბლიოთეკო რესურსის რეგისტრაციის ჟურნალები

დისკრიპტორი № 8.5 - საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკაში

შეფასება:

საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკაში.

მტკიცებულება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
- საგანმანათლებლო რესურსები

დისკრიპტორი № 8.6 - ბიბლიოთეკის გამგე ახორციელებს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების მონიტორინგს და ზრუნავს მათ განვითარებაზე

შეფასება:

ბიბლიოთეკის გამგე აწარმოებს საბიბლიოთეკო სერვისებზე მომართვიანობის ჟურნალს, თუმცა არ ახორციელებს მათ ანგარიშგებას.

მტკიცებულება:

- საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის აღრიცხვის ჟურნალი

დისკრიპტორი № 8.7 - აკადემია ახორციელებს მონიტორინგს საბიბლიოთეკო სერვისებისა და მათ გაუმჯობესებაზე

შეფასება:

მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევისა და ბიბლიოთეკის გამგის ანგარიშების საფუძველზე, აკადემია განახორციელებს მონიტორინგს საბიბლიოთეკო სერვისებისა და მათ გაუმჯობესებაზე

მტკიცებულება:

- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა

- მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევა
- ბიბლიოტეკის გამგის ანგარიშები

რეკომენდაციები პროცესის №8 – საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით:

- რეკომენდებულია ბიბლიოთეკის გამგემ განახორციელოს პერიოდული მონიტორინგი საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების თაობაზე და აკადემიის მენეჯმენტთან წარადგინოს შესაბამისი ინიციატივები საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით;
- რეკომენდებულია ბიბლიოთეკის გამგებ დაგეგმოს და განახორციელოს ბიბლიოთეკის მუშაობის გააქტიურების მიზნით შესაბამისი ღონისძიებები და იზრუნოს საბიბლიოთეკო სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობის ზრდასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.
- ვრცლად რეკომენდაციების იხილეთ დანართი 1-ში.

პროცესი №9 - საზოგადოებასთან ურთიერთობები

დისკრიპტორი №9.1 - აკადემიას აქვს ვებგვერდი (ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი), ხელმისაწვდომია დომენი და ჰოსტინგი

შეფასება:

აკადემიას აქვს როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი ვებგვერდი, ხელმისაწვდომია დომენი და ჰოსტინგი, თუმცა პერიოდულ განახლებას საჭიროებს როგორც საიტზე განთავსებული ინფორმაცია, ისე რეკომენდებულია სიახლეების დროული განთავსება, როგორც ქართულენოვან, ისე ინგლისურენოვან ვებგვერდზე. ბოლო ინფორმაცია ქართულენოვან ვებგვერდზე გათავსებულია 2019 წლის 7 აგვისტოს, ხოლო ინგლისურენოვან ვებგვერდზე- 2019 წლის 26 მარტს.

მტკიცებულება:

- აკადემიის ვებგვერდი <https://sba.edu.ge>
- ჰოსტინგი, დომენი

დისკრიპტორი №9.2 - აკადემიას შემუშავებული აქვს ვებგვერდის მართვის წესები

შეფასება:

აკადემიას შემუშავებული აქვს ოფიციალური ვებგვერდის მართვის წესი, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2018 წლის 20 ივლისის N070 ბრძანებით

მტკიცებულება:

- ოფიციალური ვებგვერდის მართვის წესი
- 2018 წლის 20 ივლისის N070 ბრძანება

დისკრიპტორი №9.3 - ვებგვერდის მართვაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი**შეფასება:**

ვებგვერდის მართვაზე პასუხისმგებელია აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურის სპეციალისტი

მტკიცებულება:

- აკადემიის დებულება
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურის სპეციალისტის სამუშაოს აღწერილობა

დისკრიპტორი №9.4 - ვებგვერდის ადმინისტრირება ხორციელდება აკადემიის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**შეფასება:**

აკადემიის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ვებგვერდის ადმინისტრირება ხორციელდება, თუმცა საჭიროებს ინფორმაციის ოპერატიულად განახლებას

მტკიცებულება:

- ოფიციალური ვებგვერდის მართვის წესი
- აკადემიის ვებგვერდი

დისკრიპტორი №9.5 - საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შემუშავებულია მარკეტინგული გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამისი კვლევის შედეგებს**შეფასება:**

საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა მარკეტინგული გეგმა და არ განხორციელებულა კვლევა

მტკიცებულება:

- საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირთან ინტერვიუ

დისკრიპტორი №9.6 - აკადემია ახორციელებს დაგეგმილ აქტივობებს საზოგადოებასთან ურთიერთობის გაღრმავებისა და აკადემიის ცნობადომის ამაღლების მიმართულებით**შეფასება:**

აკადემია ახორციელებს ცალკეულ აქტივობებს საზოგადოებასთან ურთიერთობის გაღრმავებისა და აკადემიის ცნობადომის ამაღლების მიმართულებით, თუმცა აღწვნილი აქტივობები დაგეგმილი არ არის და ის გამომდინარეობს შემხვედი გარემოებიდან.

მტკიცებულება:

- საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირთან ინტერვიუ

დისკრიპტორი №9.7 - საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს ღონისძიებებს სტუდენტთა მოზიდვის მიმართულებით, რისთვისაც შეიმუშავებს შესაბამის გეგმას და ახორციელებს ანგარიშგებას უფლებამოსილ პირთან

შეფასება:

საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი სტუდენტთა მოზიდვის მიმართულებით ახორციელებს ცალკეულ ღონისძიებებს (რეკლამა სოციალურ ქსელში), თუმცა არ არის შემუშავებული შესაბამისი გეგმა და არ ახორციელებს უფლებამოსილ პირთან ანგარიშგებას.

მტკიცებულება:

- საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირთან ინტერვიუ

რეკომენდაციები პროცესის №9 – საზოგადოებასთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიმართულებით:

- რეკომენდებულია ვებგვერდის განახლებაზე პასუხისმგებელმა პირმა უზრუნველყოს ყველა სიახლისა და ცვლილების დროული ასახვა აკადემიის როგორც ქართულენოვან, ისე ინგლისურენოვან ვებგვერდზე;
- რეკომენდებულია აკადემიის სოციალურ ქსელში განთავსებული განცხადებები/სიახლეები ასევე აისახოს აკადემიის ვებგვერდზე;
- რეკომენდებულია საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელმა პირმა შეიმუშაოს აკადემიის მარკეტინგული გეგმა, რომელიც დაეფუძნება შესაბამისი კვლევის შედეგებს;
- რეკომენდებულია საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელმა პირმა დაგეგმოს აქტივობები საზოგადოებასთან ურთიერთობის გაღრმავებისა და აკადემიის ცნობადობის ამაღლების მიმართულებით;
- რეკომენდებულია საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელმა პირმა გაზარდოს ღონისძიებები სტუდენტთა მოზიდვის მიმართულებით, რისთვისაც შეიმუშავოს შესაბამისი გეგმა და განახორციელოს ანგარიშგება უფლებამოსილ პირთან.
- ვრცლად რეკომენდაციების იხილეთ დანართი 1-ში.

პროცესი №10 - უსაფრთხოება, წესრიგისა და ჰიგიენის დაცვა

დისკრიპტორი №10.1 - აკადემიაში შემუშავებული აქვს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები

შეფასება:

აკადემიას შემუშავებული აქვს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის N080 ბრძანებით

მტკიცებულება:

- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები
- 2018 წლის 5 სექტემბრის N080 ბრძანება

დისკრიპტორი №10.2 - აკადემიაში გამოყოფილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მოქმედებს აკადემიის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პროცედურების შესაბამისად

შეფასება:

აკადემიაში პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი პირი არის აკადემიის ექიმი და მედდა. მიმდინარე პერიოდში აკადემიის მედდის თანამდებობა ვაკანტურია. პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელ პირებს ევალუატირებათ მომართვიანობის ჟურნალის, სამედიცინო ანკეტების, სამკურნალო საშუალებების მიღების, ვადიანობის კონტროლისა და მათი ჩამოწერის პროცედურების განხორციელება. საანგარიშო პერიოდში ზემოაღნიშნული აქტივობები განხორციელებულია არასრულყოფილად და საჭიროებს გაუმჯობესებას.

მტკიცებულება:

- აკადემიის პერსონალის პირადი საქმეები
- ექიმისა და მედდის სამუშაოს აღწერილობები
- სამედიცინო ანკეტები, მომართვიანობის ჟურნალი, სამკურნალო საშუალებები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია

დისკრიპტორი №10.3 - აკადემიაში განსაზღვრულია წესრიგის დაცვის მექანიზმები

შეფასება:

აკადემიაში წესრიგის დაცვის მექანიზმები მოცემულია ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურებში. დოკუმენტი დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის N080 ბრძანებით.

მტკიცებულება:

- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები
- დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის N080 ბრძანება
- დაცვის ინსპექტორთა პირადი საქმეები

დისკრიპტორი №10.4 - აკადემიაში გამოყოფილია წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც მოქმედებს/მოქმედებენ აკადემიის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პროცედურების შესაბამისად

შეფასება:

წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად აკადემიას ჰყავს დაცვის 3 ინსპექტორი, რომლებიც 24 საათის განმავლობაში იცავენ აკადემიას.

მტკიცებულება:

- დაცვის ინსპექტორთა პირადი საქმეები

დისკრიპტორი №10.5 - აკადემიაში განსაზღვრულია ჰიგიენის დაცვის მექანიზმები

შეფასება:

აკადემიაში შემუშავებულია სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფისა და დასუფთავების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის დირექტორის 2016 წლის 2 თებერვლის N009 ბრძანებით

მტკიცებულება:

- სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფისა და დასუფთავების წესი
- დირექტორის 2016 წლის 2 თებერვლის N009 ბრძანება

დისკრიპტორი №10.6 - აკადემიაში გამოყოფილია ჰიგიენის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მოქმედებს სანიტარული ნორმების დაცვის წესების შესაბამისად

შეფასება:

აკადემიაში ჰიგიენის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები არიან დამლაგებლები (2 პირი). აკადემიაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე მონიტორინგი ევალუა აკადემიის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით აკადემიაში იწარმოება დასუფთავების პერიოდულობისა და მონიტორინგის განხორციელების განრიგი. საანგარიშო პერიოდში ზემოდნიშნული დოკუმენტების წარმოება არასრულყოფილია და საჭიროებს გაუმჯობესებას.

მტკიცებულება:

- დამლაგებელთა პირადი საქმეები
- დასუფთავების პერიოდულობისა და მონიტორინგის განხორციელების დოკუმენტები

დისკრიპტორი №10.7 - აკადემიაში შემუშავებულია უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები (შენობაში, ლაბორატორიებში), რომლის დაცვასაც უზრუნველყოფს საამისოდ გამოყოფილი პირი/პირები

შეფასება:

აკადემიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების ორი სპეციალისტი, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვას. აკადემიაში განხორციელებულია სახანძრო უსაფრთხოების მონიტორინგი და შენობის მდგრადობის კვლევა. სახანძრო უსაფრთხოების მონიტორინგის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამის აქტივობებს აკადემია ახორციელებს განრიგის შესაბამისად.

მტკიცებულება:

- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების პირადი საქმეები
- დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასების თაობაზე
- დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ

რეკომენდაციები პროცესის №10 – უსაფრთხოება, წესრიგისა და ჰიგიენის დაცვის გაუმჯობესების მიმართულებით:

- რეკომენდებულია აკადემიამ უზრუნველყოს მედლის თანამდებობაზე კადრის შერჩევა
- რეკომენდებულია სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფისა და დასუფთავების წესით განსაზღვრული ყველა დოკუმენტის/ფორმის სრულფასოვანი წარმოება

პროცესი №11 - სტუდენტური სერვისები

დისკრიპტორი №11.1 - აკადემიაში არსებობს სამსახური/პირი, რომელიც ახორციელებს სტუდენტთა კონსულტირებას

შეფასება:

აკადემიაში სტუდენტთა კონსულტირებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურის სპეციალისტი შესაბამისი მიმართულების ფარგლებში.

მტკიცებულება:

- აკადემიის დებულება
- პერსონალის სამუშაოს აღწერილობები

დისკრიპტორი №11.2 - აკადემიაში არსებობს სამსახური/პირი, რომელიც ახორციელებს დამატებითი (ექსტრაკურსული) აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას, რისთვისაც შეიმუშავებს აქტივობების კალენდარს და სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობით გეგმავს შესაბამის აქტივობებს

შეფასება:

აკადემიაში დამატებითი (ექსტრაკურსული) აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი არის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახური. სამსახურის მიერ შემუშავებულია აქტივობების კალენდარი. სამსახურის მიერ არ არის წარმოდგენილი აქტივობების კალენდარის შემუშავებაში პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მტკიცებულება:

- დამატებითი (ექსტრაკურსული) აქტივობების კალენდარი

დისკრიპტორი №11.3 - აკადემიაში არსებობს სამსახური/პირი, რომელიც ახორციელებს სტუდენტების კარიერულ მხარდაჭერას, რისთვისაც შეიმუშავებული აქვს სამოქმედო გეგმები/სტრატეგიები

შეფასება:

აკადემიას შეიმუშავებული აქვს მსმენელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების სტრატეგია 2019-2024 , რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის N080 ბრძანებით. სტრატეგიის მიხედვით ცალკეული აქტივობები გაწერილია აკადემიის წლიურ გეგმაში, თუმცა რეკომენდებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურმა შეიმუშაოს წლიური ან ოპერატიული გეგმა სტუდენტთა/მსმენელთა კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით.

მტკიცებულება:

დისკრიპტორი №11.4 - აკადემიაში არსებობს სამსახური/პირი, რომელიც ახორციელებს პროფორიენტაციის ღონისძიებებს

შეფასება:

აკადემიაში პროფორიენტაციას ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახური, რისთვის ხდება აუდიტორიის მოწყობა სწავლის მსურველი პირებისთვის საინტერესო ინფორმაციის გათავსებით. მსურველთა პროფორიენტაციასა და მხარდაჭერას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მიმღები კომისია და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურის სპეციალისტი

მტკიცებულება:

- აკადემიის დებულება
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები
- დირექტორის ბრძანებები მიმრეხი კომისიის შექმნის შესახებ

დისკრიპტორი №11.5 - აკადემიაში არსებობს სამსახური/პირი, რომელიც ახორციელებს სტუდენტური სერვისებით კმაყოფილების კვლევას და კვლევის შედეგებს იყენებს საქმიანობის დაგეგმვასა და გაუმჯობესებისათვის

შეფასება:

აკადემიაში სტუდენტური სერვისებით კმაყოფილების კვლევას ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური. კვლევის შედეგები გამოიყენება საქმიანობის დაგეგმვისა და გაუმჯობესებისათვის

მტკიცებულება:

- სტუდენტური სერვისებით კმაყოფილების კვლევის კითხვარები
- სტუდენტური სერვისებით კმაყოფილების კვლევის შედეგები

რეკომენდაციები პროცესის №11 – სტუდენტური სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით:

- რეკომენდებულია დამატებითი (ექსტრაკურიკულური) აქტივობების დაგეგმვისას პასუხისმგებელმა პირმა ჩართოს სტუდენტები და პერსონალი და შექმნას აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (დასწრების ფურცელი, ოქმი და სხვა);
- რეკომენდებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურმა შეიმუშაოს წლიური ან ოპერატიული გეგმა სტუდენტთა/მსმენელთა კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით;
- რეკომენდებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურმა გაააქტიუროს მუშაობა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობისა და კარიერული განვითარების მონიტორინგის მიმართულებით;
- ვრცლად რეკომენდაციების იხილეთ დანართი 1-ში.

პროცესი №12 - სასწავლო პროცესის ორგანიზება

დისკრიპტორი №12.1 - აკადემიის თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას ახლავს სასწავლო გეგმა

შეფასება:

აკადემიის თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას ახლავს სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები და ლოგიკური კავშირები. სტუდენტთა დატვირთვა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

მტკიცებულება:

- თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
- ხარისხის მართვის სამსახურის დასკვნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის თაობაზე.

დისკრიპტორი №12.2 - სასწავლო პროცესის დაგეგმვა მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად

შეფასება:

პროცესის დაგეგმვა მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად, რისთვისაც წლის დასაწყისში სასწავლო პროცესის სამსახურის მიერ იქმნება დოკუმენტი - სასწავლო პროცესის განრიგი, სადაც პროგრამების მიხედვით მოცემულია სწავლის დაწყებისა და დასრულების დრო, შეფასების როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ვადები, შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ მეცადინეობებზე დასწრების თარიღები და დამსწრე პირების ინიციალები.

მტკიცებულება:

- სასწავლო პროცესის განრიგი

დისკრიპტორი №12.3 - მოდულის კალენდარული გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო გეგმისა და მოდულის მოთხოვნები

შეფასება:

მოდულის კალენდარულ გეგმებს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ერთად. სასწავლო გეგმასა და მოდულის მოთხოვნებთან კალენდარული გეგმების შესაბამისობას ადგენს აკადემიის ხარისხის მართვის სამსახური.

მტკიცებულება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
- მოდულის კალენდარული გეგმები

დისკრიპტორი №12.4 - აკადემიაში შემუშავებულია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცედურება და მეთოდოლოგია

შეფასება:

ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცედურება და მეთოდოლოგია აკადემიაში გაწერილია სასწავლო პროცესის მართვის წესითა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული განათლების აღიარების და პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესით, რომელთა დამტკიცების თაობაზე გამოცემულია დირექტორის 2018 წლის 5 სექტემბრის №080 და 2019 წლის 24 მაისის N044 ბრძანებები.

მტკიცებულება:

- სასწავლო პროცესის მართვის წესი
- საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული განათლების აღიარების და პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი
- აკადემიის დირექტორის ბრძანებები შიდა მარეგულირებელი აქტების დამტკიცების თაობაზე

დისკრიპტორი №12.5 - სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს გეგმის შედგენაში სტუდენტთა ჩართვის მექანიზმებს

შეფასება:

სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს გეგმის შედგენაში სტუდენტთა ჩართვის მექანიზმებს.

მტკიცებულება:

- სასწავლო პროცესის მართვის წესი
- საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული განათლების აღიარების და პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი
- პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- აკადემიის დირექტორის ბრძანებები ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცების თაობაზე

დისკრიპტორი №12.6 - აკადემიაში შემუშავებულია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების წესი, რომელიც მოიცავს შეფასების მთელი პროცესის პროცედურულ საკითხებს

შეფასება:

აკადემიაში შემუშავებულია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 8 ნოემბრის N155 ბრძანებით.

მტკიცებულება:

- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების წესი
- დირექტორის 2018 წლის 8 ნოემბრის N155 ბრძანება

დისკრიპტორი №12.7 - აკადემიაში განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის სისტემა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება სტუდენტთა შეფასება

შეფასება:

შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის სისტემა დარეგულირებულია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების წესით.

მტკიცებულება:

- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების წესი

დისკრიპტორი №12.8 - აკადემიაში არსებობს სასწავლო პროცესის საჭირო მასალითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმი, მათი მოთხოვნიდან ნარჩენების მართვის ჩათვლით

შეფასება:

სასწავლო პროცესის საჭირო მასალითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის პროცედურები დარეგულირებულია აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესით. აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალისა და ნედლეულის მოთხოვნის ფორმა. ფინანსურ მენეჯერსა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს შორის ფორმდება მიღება - ჩაბარების აქტები. თუმცა აღნიშნული პროცედურის დოკუმენტირება მიმდინარეობს პროცედურული დარღვევით, არ ხდება დოკუმენტების დროული შედგენა და მათი აღრიცხვა.

მტკიცებულება:

- სასწავლო პროცესის მართვის წესი
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალისა და ნედლეულის მოთხოვნის ფორმა
- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ შევსებული და წარდგენილი ფორმები სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალისა და ნედლეულის უზრუნველყოფის მიზნით

დისკრიპტორი №12.9 - აკადემიაში შემუშავებულია სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალისა და ნედლეულის გამოყენების და ნარჩენების მართვის წესები, გამოყოფილია ამ წესების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები

შეფასება:

შემუშავებულია სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალისა და ნედლეულის გამოყენების და ნარჩენების მართვის წესები, რაც გაწერილია აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესში. აღნიშნული წესის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი მოდულის განმახორციელებელ პირს, აკადემიის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს.

მტკიცებულება:

- სასწავლო პროცესის მართვის წესი
- ნარჩენების უტილიზაციისთვის საჭირო ინვენტარი
- ნარჩენების უტილიზაციისთვის უფლებამოსილი ორგანოსთან გაფორმებული ხელშეკრულება

რეკომენდაციები პროცესის №12 - სასწავლო პროცესის ორგანიზების გაუმჯობესების მიმართულებით:

- რეკომენდებულია სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალისა და ნედლეულის მოთხოვნისა და მიწოდების პროცესის ამსახველი დოკუმენტები იწარმოოს აკადემიის მიერ დადგენილი წესითა და პერიოდულობით. ამავე მიზნებისთვის შექმნილი დოკუმენტები დამუშავდეს საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად;
- რეკომენდებულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა აწარმოოს რეესტრი (თუნდაც ელექტრონულად), სადაც აღრიცხვას სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო მასალისა და ნედლეულის მიღების, გახარჯვისა და უკანდაბრუნების/შენახვის ფაქტებს, მიუთითებს თითოეული პროცესის გამამყარებელ დოკუმენტური მტკიცებულების რეკვიზიტებს. აღნიშნული უზრუნველყოფს აკადემიის რესურსების ხარჯვის მაჩვენებლების ობიექტური მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას;
- რეკომენდებულია შეიქმნას შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ჯგუფი;
- რეკომენდებულია სამსახურმა აწარმოოს პროფესიულ სტუდენტთა დასწრებისა და აკადემიური მიღწევების სისტემატიზებული ელექტრონული ფორმა (მაგ. ექსელის ფაილი);
- ვრცლად რეკომენდაციების იხილეთ დანართი 1-ში.

პროცესი №13 - სტუდენტთა კორპუსის მართვა

დისკრიპტორი №13.1 - აკადემიაში შემუშავებულია სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის პროცედურები

შეფასება:

სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის პროცედურები მოცემულია აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესში, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2019 წლის 24 მაისის N044 ბრძანებით

მტკიცებულება:

- სასწავლო პროცესის მართვის წესი
- 2019 წლის 24 მაისის N044 ბრძანება

დისკრიპტორი №13.2 - აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთათვის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის დროს დაცულია მარეგულირებელი აქტით განსაზღვრული პირობები

შეფასება:

აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთათვის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის დროს დაცულია მარეგულირებელი აქტით განსაზღვრული პირობები

მტკიცებულება:

- სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტისა და აღდგენის თაობაზე უფლებამოსილი პირების მიმოწერა და დირექტორის ბრძანებები

დისკრიპტორი №13.3 - აკადემიაში შემუშავებულია გარე და შიდა მობილობის პროცედურები

შეფასება:

გარე და შიდა მობილობის პროცედურები რეგულირდება აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესით.

მტკიცებულება:

- სასწავლო პროცესის მართვის წესი
- 2019 წლის 24 მაისის N044 ბრძანება

დისკრიპტორი №13.4 - აკადემიაში შემუშავებულია კვალიფიკაციის მინიჭების და საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის პროცედურები/დუბლიკატის გაცემის პროცედურები

შეფასება:

კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურები რეგულირდება სასწავლო პროცესის მართვის წესით, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2019 წლის 24 მაისის N044 ბრძანებით.

საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის პროცედურები/დუბლიკატის გაცემის პროცედურები გაწერილია დიპლომის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესში, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2011 წლის 5 დეკემბრის N105 ბრძანებით

მტკიცებულება:

- სასწავლო პროცესის მართვის წესი
- 2019 წლის 24 მაისის N044 ბრძანება
- დიპლომის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი
- დირექტორის 2011 წლის 5 დეკემბრის N105 ბრძანება

დისკრიპტორი №13.5 - აკადემიაში შემუშავებულია წინმსწრები და არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები**შეფასება:**

წინმსწრები და არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები აკადემიაში რეგულირდება სასწავლო პროცესის მართვის წესით, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული განათლების აღიარების და პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესით

მტკიცებულება:

- საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული განათლების აღიარების და პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი
- სასწავლო პროცესის მართვის წესი
- დირექტორის ბრძანებები შიდა მარეგულირებელი აქტების დამტკიცების თაობაზე
- დირექტორის ბრძანებები აღიარების კომისიების შექმნის შესახებ
- მიღებული განათლების აღიარების კომისიის დასკვნები

დისკრიპტორი №13.6 - აკადემიაში შემუშავებულია სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია**შეფასება:**

შემუშავებულია სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც გაწერილია აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესით. შემუშავებულია აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარუნარიანობის დოკუმენტი

მტკიცებულება:

- სასწავლო პროცესის მართვის წესი
- აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარუნარიანობის დოკუმენტი

რეკომენდაციები პროცესის №13 – სტუდენტთა კორპუსის მართვის გაუმჯობესების მიმართულებით:

- რეკომენდებულია თითოეული პროცესისათვის შეიქმნას პროცედურათა სქემა
- რეკომენდებულია პროფესიულ სტუდენტთა ოპერატიული ინფორმირების მიზნით, იწარმოოს ელექტრონული მიმოწერა (მაგ. ელ. ფოტა)

პროცესი №14 - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

დისკრიპტორი №14.1 - აკადემიაში შემუშავებულია ახალი პროგრამის შემუშავების პროცედურა

შეფასება:

ახალი პროგრამის შემუშავების პროცედურა გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2011 წლის 27 ივნისის №027 ბრძანებით

მტკიცებულება:

- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესი
- დირექტორის 2011 წლის 27 ივნისის №027 ბრძანება

დისკრიპტორი №14.2 - აკადემიის თითოეული პროგრამისათვის არსებობს განხორციელების მიზანშეწონილობა, რომელშიც გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები

შეფასება:

აკადემიის თითოეული პროგრამისათვის არსებობს განხორციელების მიზანშეწონილობა, რომელშიც გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები

მტკიცებულება:

- პროგრამისათვის განხორციელების მიზანშეწონილობები

დისკრიპტორი №14.3 - აკადემიის ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად

შეფასება:

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად. აღნიშნული პროცედურის დაცულობა ფასდება აკადემიის ხარისხის მართვის დაკვნებით.

მტკიცებულება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
- ხარისხის მართვის სამსახურის დასკვნები

დისკრიპტორი №14.4 - აკადემიის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შერჩეულია პრაქტიკული კომპონენტი განხორციელების ადგილი (არსებობს ხელშეკრულებები) და აკადემია ზრუნავს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა გაფართოებაზე

შეფასება:

თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შერჩეულია პრაქტიკული კომპონენტი განხორციელების ადგილი (არსებობს ხელშეკრულებები). აკადემიაში იწარმოება პარტნიორი დაწესებულებების რეესტრი, რომლის ანალიზითაც ირკვევა, რომ აკადემია ზრუნავს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა გაფართოებაზე

მტკიცებულება:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- პარტნიორი დაწესებულებების რეესტრი

დისკრიპტორი №14.5 - აკადემიაში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის, გაუმჯობესების და გაუქმების პროცედურები

შეფასება:

საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის, გაუმჯობესების და გაუქმების პროცედურები რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესით.

მტკიცებულება:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი
- პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები
- დირექტორის ბრძანება პროგრამებში ცვლილების განხორციელების თაობაზე

დისკრიპტორი №14.6 - აკადემიაში განსაზღვრულია შეცვლილი პროგრამების მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღებული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მექანიზმები

შეფასება:

შეცვლილი პროგრამების მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღებული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მექანიზმები მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული განათლების აღიარების და პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესში.

მტკიცებულება:

- საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული განათლების აღიარების და პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

- დირექტორის ბრძანება პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღებული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის თაობაზე კომისიის შემქმნის შესახებ
- პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღებული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის თაობაზე კომისიის დასკვნები

დისკრიპტორი №14.7 - აკადემიაში განსაზღვრულია პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელთა გავითარებზეც ზრუნავს დაწესებულება

შეფასება:

განსაზღვრულია პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელთა გავითარებზეც ზრუნავს დაწესებულება. არნიშნული პროცედურა მოცემულია □ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული განათლების აღიარების და პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესში.

მტკიცებულება:

- საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული განათლების აღიარების და პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი
- კოლეჯებთან გაფორმებული მემორანდუმები.

რეკომენდაციები პროცესის №14 – საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გაუმჯობესების მიმართულებით:

- რეკომენდებულია თითოეული პროცესისათვის შეიქმნას პროცედურათა სქემა, რაც გაამარტივებს მის აღქმადობას.

აკადემიის სერვისებით სარგებლობის კმაყოფილების კვლევის შედეგები

გამოკითხვის მიზანი იყო აკადემიის სერვისებით პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 46-მა რესპოდენტმა.

გამოკითხვების მიხედვით კმაყოფილების 100%-იანი შედეგი დაიმსახურა:

- ❖ პროფორიენტაციის განმახორციელებელმა კონსულტირების ნაწილში (საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახური)
- ❖ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა სწავლის შედეგების დადასტურების, გაცდენების, განმსაზღვრელი შეფასების განრიგის, მათი გადაბარების შესაძლებლობებისა და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ნაწილში
- ❖ ხარისხის მართვის სამსახურმა პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირების ნაწილში

გამოკითხვების მიხედვით კმაყოფილების 97,8%-იანი შედეგი დაიმსახურა:

- ❖ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა პროფესიულ სტუდენტთათვის მეცადინეობების განრიგის თაობაზე ინფორმირების ნაწილში

გამოკითხვების მიხედვით კმაყოფილების 95,7%-იანი შედეგი დაიმსახურა:

- ❖ პროფორიენტაციის განმახორციელებელმა სწავლის საფასურისა და მომსახურების ტარიფების თაობაზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში (საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახური)
- ❖ ფინანსურმა მენეჯერმა პროფესიული სტუდენტებისათვის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე ინფორმირების ნაწილში
- ❖ ბიბლიოთეკის გამგემ პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირების ნაწილში

გამოკითხვების მიხედვით კმაყოფილების 91,3%-იანი შედეგი დაიმსახურა:

- ❖ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა პროფესიულ სტუდენტთათვის გზამკვლევისა და აკადემიასთან თანამშრომლობისათვის ყველა სხვა ინფორმაციის მიწოდების ნაწილში
- ❖ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურმა სტუდენტთათვის განტვირთვისა და დასვენების ღონისძიებებით უზრუნველყოფის ნაწილში
- ❖ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურმა სტუდენტთათვის ინტელექტუალური, სპორტული და კულტურული ღონისძიებებით უზრუნველყოფის ნაწილში
- ❖ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურმა პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების, აკადემიის სერვისების თაობაზე კონსულტირების ნაწილში
- ❖ ადმინისტრაციამ პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირების ნაწილში

გამოკითხვების მიხედვით კმაყოფილების 89,1%-იანი შედეგი დაიმსახურა:

- ❖ პროფორიენტაციის განმახორციელებელმა პირმა (საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახური) პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, ჩარიცხვის წინაპირობების, პრაქტიკის ობიექტების და პროგრამის სხვა მახასიათებლების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ნაწილში
- ❖ სამედიცინო პერსონალმა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირების ნაწილში.

გამოკითხვების მიხედვით კმაყოფილების 88,4%-იანი შედეგი დაიმსახურა:


- ❖ აკადემიაში სოციალური შეღავათებით სარგებლობის კომპონენტმა
- ❖ აკადემიაში თავისუფალი აზრის, პროტესტის გამოხატვის კომპონენტმა

გამოკითხვების მიხედვით კმაყოფილების 80%-იანი შედეგი დაიმსახურა:


- ❖ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობის ხელმისაწვდომობის ნაწილში

ზემოაღნიშნული მაჩვენებლები სქემაში ასე გამოიყურება:


დიკრიპტორი 1.- აკადემიაში მოსვლისას მომეწოდა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და გამეწია კონსულტაცია სპეციალობის არჩევისთვის




დიკრიპტორი 2.- მომეწოდა ამომწურავი ინფორმაცია პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, ჩარიცხვის წინაპირობების, პრაქტიკის ობიექტების და პროგრამის სხვა მახასიათებლების შესახებ




დიკრიპტორი 3.- მომეწოდა ინფორმაცია რეგისტრაციის პროცედურების და სწავლის და მომსახურების ტარიფების შესახებ




დიკრიპტორი 4.- სწავლის დასაწყისშივე მომეწოდა გზამკვლევი და ყველა საჭირო ინფორმაცია აკადემიაში თანამშრომლობისათვის




დიკრიპტორი 5.- მეცადინეობის განრიგი ჩვენთვის ცნობილი და ხელმისაწვდომია




დიკრიპტორი 6.- საჭიროების შემთხვევაში, ჩემთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური მეცადინეობა




დიკრიპტორი 7. - აკადემიაში ხელმისაწვდომია სოციალური შეღავათებით სარგებლობა




დიკრიპტორი 8. - აკადემიაში ხორციელდება სტუდენტთათვის განტვირთვის და დასვენების ღონისძიებები, როგორცაა ექსკურსიები, საღამოები და სხვა




დიკრიპტორი 9. - აკადემიაში ხორციელდება სხვადასხვა ინტელექტუალური, სპორტული და კულტურული ღონისძიებები




დიკრიპტორი 10. - ადმინისტრაცია ყოველთვის მიწევს კვალიფიციურ კონსულტაციას ჩემთვის საჭირო თემაზე




დიკრიპტორი 11. - მაქვს საშუალება თავისუფლად გამოვხატო ჩემი აზრი, პროტესტი, კმაყოფილება ამათუ იმ საკითხზე




დიკრიპტორი 12.- სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ამომწურავდ მაწვდის ინფორმაციას ჩემი სწავლის შედეგების დადასტურების, გაცდენების, განმსაზღვრელი შეფასების განრიგის, მათი გადაბარების შესაძლებლობებისა და სხვა საკითხების შესახებ




დიკრიპტორი 13.- ფინანსური მენეჯერი ამომწურავდ მაწვდის ინფორმაციას ჩემი ფინანსური დავალიანებისა და სხვა საკითხების შესახებ




დიკრიპტორი 14.- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახური ამომწურავდ მაწვდის ჩემთვის საჭირო ინფორმაციას დასაქმების, აკადემიის სერვისების, ღონისძიებებისა და მიმდინარე საკითხების შესახებ




დიკრიპტორი 15.- ჩემი დაინტერესების შემთხვევაში ხარისხის მართვის სამსახური ამომწურავდ მაწვდის ჩემთვის საჭირო ინფორმაციას




დიკრიპტორი 16.- მოთხოვნის შემთხვევაში, ბიბლიოთეკის გამგე ამომწურავდ მაწვდის ჩემთვის საჭირო ინფორმაციასა და რესურსს



დიკრიპტორი 17.- დაინტერესების შემთხვევაში, სამედიცინო პერსონალი მიწევს სათანადო კონსულტაციას ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე



სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვალევა



შეფასების კრიტერიუმები

1. აკადემიაში მოსვლისას გამეწია კონსულტაცია პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით
2. აკადემიაში განიხილეს ჩემთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება
3. სწავლის პერიოდში ჩემთვის ხელმისაწვდომი იყო სასწავლო ლიტერატურა
4. სწავლის პერიოდში ჩემთვის ხელმისაწვდომი იყო აკადემიის ყველა სერვისი
5. სწავლის პერიოდში აკადემიის პერსონალი ხელს მიწყობდა გადაადგილებაში
6. სწავლის პერიოდში აკადემიის პერსონალი ხელს მიწყობდა სასწავლო მასალის ათვისებაში
7. აკადემიაში თავს ვგრძნობდი უსაფრთხოდ
8. მივაღწიე იმ სწავლის შედეგებს, რასაც პროგრამა ითვალისწინებდა
9. ჩემი შეფასებისას მასწავლებლები იყვნენ ობიექტურები

გთხოვთ, შეაფასოთ აკადემიის მიერ გაწეული მომსახურება და მოგვცეთ რეკომენდაციების მათი განვითარებისათვის

1 response

აკადემიაში სწავლის პერიოდში აკადემიის მიერ ჩემზე გაწეული მომსახურება შემძლია შევასო დადებითად, მთელი სასწავლო წლის მანძილზე ვგრძობდი ლექტორ-მასწავლებლების ყურადღებას, მეგობრობას და თანადგომას. ჩემი აზრით აკადემიაში ყველა პირობა არის შექმნილი სტუდენტების სწავლისა და განვითარებისთვის.

რეკომენდაციები აკადემიის სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით

- რეკომენდებულია პროფესიულ სტუდენტთათვის ინდივიდუალური მეცადინეობების ჩატარების აუცილებლობის შემთხვევებისა და აღნიშნული სერვისით სარგებლობის თაობაზე სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდება;
- რეკომენდებულია სოციალური შეღავათების მიმართულებით აკადემიამ გააფართოვოს სტიმულების სპექტრი, მაგ. სტიპენდია, მაღალ აკადემიურ მოსწრებასა (რაც შეფასდება სწავლის შედეგების პირველივე ცდაზე დადასტურების კომპონენტში ან სხვა) და აქტივობებში ჩართულობის მაჩვენებლებებისათვის ბონუსები (მ.შ ფინანსური) და სხვა;
- რეკომენდებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ზრდა თავისუფალი აზრის/პროტესტის გამოხატვის მიმართულებით;
- რეკომენდებულია ჯანდაცვის მიმართულებით სერვისების გაფართოება, მათ შორის სემინარების, კონსულტაციებისა და საჯარო ლექციების მიმართულებით;
- რეკომენდებულია პროფორინტაციის განმახორციელებელმა პირმა ზოგად ინფორმაციასთან ერთად უზრუნველყოს აპლიკანტების ინფორმირება პროგრამის შინაარსის, განხორციელების მიდგომების, პრაქტიკის კომპონენტებისა და სხვათა შესახებ.

სასწავლო პროცესის შეფასება პროფესიული სტუდენტების მიერ

გამოკითხვის მიზანი იყო პროფესიული სტუდენტების მიერ მოდულის განმახორციელებელი პირის (შემდგომში „მასწავლებელი“), მოდულის შინაარსისა და სწავლების პროცესის შეფასება.

შეფასების მიზნებისათვის შეივსო 500 კითხვარი და გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მათ შორის:

- ბუღალტრული აღრიცხვა
- ფინანსები
- ოფისის მენეჯერი
- საბაჟო საქმე
- ტურიზმი
- ინფორმაციის ტექნოლოგია

პროფესიულ სტუდენტთა მიერ შეფასდა 63 მოდული, მათ შორის:

1. ინგლისური ენა
2. ინფორმაციული წიგნიერება 1
3. ინფორმაციული წიგნიერება 2
4. რაოდენობრივი წიგნიერება
5. მეწარმეობა 1
6. მეწარმეობა 3
7. ინტერპერსონალური კომუნიკაცია
8. სამოქალაქო განათლება
9. Ms Excel
10. გაცნობითი პრაქტიკა-ბუღალტრული აღრიცხვა
11. ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება
12. სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა
13. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები
14. კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა
15. ინვენტარიზაცია
16. ფინანსური ანგარიშგების შედგენა
17. სასაქონლო ოპერაციები და საბაჟო გადასახდელები
18. საქონლის წარმოშობის ქვეყნისა და საბაჟო ღირებულების განსაზღვრა
19. ბიზნეს ინგლისური

20. არასატარიფო ღონისძიებები
21. გაცნობითი პრაქტიკა-საოფისე საქმე
22. ადმინისტრაციული ასისტირება
23. საფინანსო დოკუმენტებთან მუშაობა
24. საინფორმაციო-საცნობარო დოკუმენტების წარმოება
25. კორესპონდენციის ორგანიზება
26. საოფისე და სამეურნეო მარაგების მართვა
27. საორგანიზაციო დოკუმენტების პროექტების მომზადება
28. დოკუმენტების არქივისთვის გადასაცემად მომზადება
29. საოფისე შეხვედრებისა და ღონისძიებების დაგეგმვა
30. წერილებით ტექსტთან მუშაობა
31. დოკუმენტის რეკვიზიტებისა და ბლანკების გაფორმება
32. მმართველობითი დოკუმენტების მომზადება
33. ნორმატიული აქტების გამოყენება
34. გაცნობითი პრაქტიკა-საბაჟო საქმე
35. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა
36. რუსული ენა
37. ბიზნეს ინგლისური-საბაჟო საქმე
38. საბაჟო დეკლარირება
39. სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი
40. საბაჟო ზედამხედველობა
41. სერვისის პლუსი
42. გაცნობითი პრაქტიკა-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი
43. უსაფრთხოება და პირველადი გადაუდებელი დახმარება
44. ქართული კულტურა და ხელოვნება
45. საქართველოს ისტორია და ეთნოგრაფია
46. ექსკურსიის მომზადება
47. ტურიზმის ინდუსტრია
48. საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები
49. ტურისტული მომსახურების სამართლებრივი უზრუნველყოფა
50. ექსკურსიის ჩატარება
51. გაცნობითი პრაქტიკა-საფინანსო სერვისები
52. სადეპოზიტო მომსახურება
53. სალაროს ოპერაციების განხორციელება
54. დისტანციური საბანკო მომსახურება
55. ანგარიშის გახსნა-დახურვა
56. ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება
57. უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები
58. სწრაფი ფულადი გზავნილები


59. სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი
60. გაცნობითი პრაქტიკა-ინფორმაციის ტექნოლოგია
61. კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა
62. დარგობრივი ინგლისური ენა IT Support
63. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა

პროფესიულ სტუდენტთა მიერ შეფასდა პროფესიული განათლების 31 მასწავლებელი, მათ შორის:

1. დარეჯან კვატაშიძე
2. ლეილა გიორგობიანი
3. მანანა კაციაშვილი
4. ლაშა იაშვილი
5. რატი ჩიქვილიძე
6. თინათინ კახნიაშვილი
7. პაატა ცაგარეიშვილი
8. თეა მაისურაძე
9. ნინო მუშკუდიანი
10. გიული გურგენიძე
11. მარინე გვრიტიშვილი
12. ნია გუგუნავა
13. ტიტე ბოლქვაძე
14. კახაბერ ერაძე
15. ანა მაზმიშვილი
16. ლაშა ცაგარეიშვილი
17. მედეა ზურაბიშვილი
18. სოფიო კაკაურიძე
19. შორენა ოკუჯავა
20. სოფიო ინაშვილი
21. თეა ნადირაშვილი
22. მანანა მახარაშვილი
23. ელენე ჩიქოვანი
24. ბორის ოსიპიანი
25. ქეთევან მაისურაძე
26. თეიმურაზ ბერიშვილი
27. ქრისტინე მაჭარაშვილი
28. იზაბელა გრიგორიანი
29. ეკა კანდელაკი
30. ხათუნა ჩხარტიშვილი
31. ვახტანგ ბოგველიშვილი

მასწავლებელთა ინდივიდუალური შეფასების შედეგები იხილეთ დანართი 2-ის სახით.

დისკრიპტორი 1. - მასწავლებელმა სწავლის დასაწყისში გაგვაცნო მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები




დისკრიპტორი 2. - მასწავლებელმა სწავლის დასაწყისშივე გაგვაცნო სწავლისა და სწავლების მეთოდები



დისკრიპტორი 3. - მასწავლებელმა სწავლის დასაწყისშივე გაგვაცნო ლიტერატურა და სასწავლო მასალა




დისკრიპტორი 4. - მასწავლებელმა სწავლის დასაწყისშივე გაგვაცნო მოდულის კალენდარული გეგმა




დისკრიპტორი 5. - მასწავლებელმა სწავლის დასაწყისშივე გაგვაცნო მოდულის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მიდგომები




დისკრიპტორი 6. - მასწავლებელი საინტერესოდ და გასაგებად გვაწვდიდა სასწავლო მასალას




დისკრიპტორი 7. - მასწავლებელი სწავლებისას იყენებდა მრავალფეროვან აქტივობებს და რესურსებს




დისკრიპტორი 8. - მასწავლებელი მეცადინეობისას ინარჩუნებდა დისციპლინას




დისკრიპტორი 9. - მასწავლებელი გვაძლევდა შეკითხვებს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ახსნილი მასალა გავიგეთ




დისკრიპტორი 10. - მასწავლებელს მოსწონდა, როცა შეკითხვებს ვუსვამდი და ამომწურავად გვპასუხობდა




დისკრიპტორი 11. - მასწავლებელი სტუდენტების მიმართ კეთილგანწყობილია




დისკრიპტორი 12. - მასწავლებელი ყოველთვის მზადაა ჩემთვის საინტერესო საკითხებზე კონსულტაციისთვის




დისკრიპტორი 13. - მოდულის სწავლის შედეგის მიღწევისათვის სწორად იყო შერჩეული სასწავლო ლიტერატურა და მასალები




დისკრიპტორი 14. - მასწავლებლის მიერ მოცემული საშინაო დავალებები/საკითხავი მასალა გვებმარებოდა ახსნილი მასალის უკეთ ათვისებაში



დისკრიპტორი 15. - მასწავლებლის მიერ მოცემული დავალებები/საკითხავი მასალა ახსნილი თემის შესაბამისი იყო




დისკრიპტორი 16. - მასწავლებელი განმავითარებელ შეფასებებში გვაძლევდა იმ შინაარსის დავალებებს, რაც მოცემული იყო განმსაზღვრელი შეფასებისას




დისკრიპტორი 17. - მასწავლებელი ჩვენთან ერთად იხილავდა განმავითარებელ შეფასებებს, გვაძლევდა მითითებებს მათი უკეთ შესრულებისათვის




დისკრიპტორი 18. - მასწავლებელი სამართლიანი იყო როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებისას



დისკრიპტორი 19. - გთხოვთ შეაფასოთ განმსაზღვრელი შეფასების მიმდინარეობა



დისკრიპტორი 20. - აკადემიაში არსებობს შეფასების შედეგების გასაჩივრების სისტემა



შეფასების შედეგების ანალიზი

პროფესიული სტუდენტების მიერ მოდულების განმახორციელებელი პირების შეფასებისას შედარებით დაბალი მაჩვენებლებით შეფასდა შემდეგი კრიტერიუმები:

- 5. მასწავლებელმა სწავლის დასაწყისშივე გაგვაცნო მოდულის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მიდგომები
- 6. მასწავლებელი საინტერესოდ და გასაგებად გვაწვდიდა სასწავლო მასალას
- 7. მასწავლებელი სწავლებისას იყენებდა მრავალფეროვან აქტივობებს და რესურსებს
- 8. მასწავლებელი მეცადინეობისას ინარჩუნებდა დისციპლინას
- 10. მასწავლებელს მოსწონდა, როცა შეკითხვებს ვუსვამდი და ამომწურავად გვაპასუხობდა
- 17. მასწავლებელი ჩვენთან ერთად იხილავდა განმავითარებელ შეფასებებს, გვაძლევდა მითითებებს მათი უკეთ შესრულებისათვის
- 19. განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდა ობიექტურად და მოცემული იყო ის საკითხები, რაც ვისწავლეთ

სასწავლო პროცესისა და მასწავლებელთა შეფასება მსმენელების მიერ

საანგარიშო პერიოდში აკადემიაში განხორცილდა 9 სასერტიფიკატო პროგრამა, მათ შორის:

- ✓ ბაგა-ბაღის აღმზრდელი
- ✓ ბუღალტრული აღრიცხვა
- ✓ გიდი
- ✓ ინფორმაციული ტექნოლოგი
- ✓ კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი
- ✓ ოფისის მენეჯერი
- ✓ საბაჟო საქმე
- ✓ ლოგისტიკა
- ✓ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომზადების აკრედიტებული პროგრამა

კმაყოფილების კვლევის მიზნით გამოიკითხა სულ 106 მსმენელი.

შეფასების კრიტერიუმები იყო:

დისკრიპტორი 1. მასწავლებლის შეფასება

1. კრიტერიუმი - 1.1 მასწავლებლებმა სწავლის დასაწყისში გაგვაცნეს პროგრამის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები
2. კრიტერიუმი - 1.2 მასწავლებლებმა სწავლის დასაწყისშივე გაგვაცნეს სწავლისა და სწავლების მეთოდები
3. კრიტერიუმი - 1.3 მასწავლებლებმა სწავლის დასაწყისშივე გაგვაცნეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მიდგომები
4. კრიტერიუმი - 1.4 მასწავლებლები საინტერესოდ და გასაგებად გვაწვდიდნენ სასწავლო მასალას
5. კრიტერიუმი - 1.5 მასწავლებლები სწავლებისას იყენებდნენ მრავალფეროვან აქტივობებს და რესურსებს
6. კრიტერიუმი - 1.6 მასწავლებლები მეცადინეობისას ინარჩუნებდნენ დისციპლინას
7. კრიტერიუმი - 1.7 მასწავლებლები გვამღებდა შეკითხვებს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ახსნილი მასალა გავიგეთ
8. კრიტერიუმი - 1.8 მასწავლებლებს მოსწონდათ, როცა შეკითხვებს ვუსვამდით და ამომწურავად გვპასუხობდნენ
9. კრიტერიუმი - 1.9 მასწავლებლები მსმენელების მიმართ კეთილგანწყობილია

დისკრიპტორი 2. საგანმანათლებლო რესურსები და სასწავლო გარემო


10. კრიტერიუმი - 2.1 პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევისათვის სწორად იყო შერჩეული სასწავლო მასალები
11. კრიტერიუმი - 2.2 მასწავლებლების მიერ მოცემული მასალა გვეხმარებოდა ახსნილი მასალის უკეთ ათვისებაში



- 12. კრიტერიუმი - 2.3 მასწავლებლების მიერ მოცემული მასალა ახსნილი თემის შესაბამისი იყო
- 13. კრიტერიუმი - 2.4 სასწავლო გარემო უზრუნველყოფდა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას



დისკრიპტორი 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრირება და აკადემიის სერვისები



- 14. კრიტერიუმი - 3.1 აკადემიაში მოსვლისას მომეწოდა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და გამეწია კონსულტაცია
- 15. კრიტერიუმი - 3.2 მომეწოდა ინფორმაცია რეგისტრაციის პროცედურების და სწავლის პირობების შესახებ
- 16. კრიტერიუმი - 3.3 მეცადინეობის განრიგი ჩვენთვის ცნობილი და ხელმისაწვდომია
- 17. კრიტერიუმი - 3.4 ადმინისტრაცია ყოველთვის მიწევს კვალიფიციურ კონსულტაციას ჩემთვის საჭირო თემაზე
- 18. კრიტერიუმი - 3.5 მაქვს საშუალება თავისუფლად გამოვხატო ჩემი აზრი, პროტესტი, კმაყოფილება ამათუ იმ საკითხზე
- 19. კრიტერიუმი - 3.6 პროექტის ხელმძღვანელი ამომწურავდ მაწვდის ინფორმაციას აკადემიასთან ჩემი ურთიერთობისას არსებული საკითხების შესახებ


პროგრამების მიხედვით მსმენელთა კმაყოფილების მაჩვენებლები













მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების შეფასება



შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომზადების აკრედიტებული პროგრამა



ტრენერთა შეფასება




აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის მიერ ჩატარებული ტრენინგის შეფასება ტრენინგის მონაწილეთა მიერ

ტრენინგი თემაზე: კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროგრამებში

შეფასების კრიტერიუმები:

1. რამდენად გაამართლა ტრენინგმა თქვენი მოლოდინი
2. პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა პასუხობს ტრენინგის მიზნებსა და ამოცანებს
3. პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სავარჯიშოები შესაბამისობაშია ტრენინგის მიზნებთან და ამოცანებთან
4. სატრენინგო მასალა მსმენლისთვის გასაგებ ენაზეა მომზადებული
5. ტრენინგპროგრამის შინაარსი მორგებულია ჩემს საჭიროებებს
6. ტრენინგზე მოწოდებული ტერმინოლოგია გასაგებია
7. ტრენინგი დამეხმარება უკეთ სწავლებაში
8. ფიქრობთ თუ არა, რომ შეძლებთ ტრენინგზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვას?
9. როგორ შეაფასებთ ტრენინგის კომპეტენტურობას პროფესიული თვალსაზრისით?
10. ტრენინგის დასაწყისში ტრენინგმა გააცნო მსმენელებს ტრენინგის მიზანი
11. ტრენინგმა მონაწილეებს ერთმანეთის გაცნობის საშუალება მისცა
12. ტრენინგი ფლობს სატრენინგო თემას
13. ტრენინგს შეუძლია დასახული მიზნებისა და დაგეგმილი საქმიანობის შესაბამისად დროის ეფექტურად მართვა და განაწილება
14. ტრენინგი იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს
15. ტრენინგი პასუხობს დასმულ შეკითხვებს და საუბრისას მოყავს მაგალითები
16. ტრენინგს შეუძლია მკაფიო და მარტივი ინსტრუქციების/ განმარტებების მიცემა
17. ტრენინგს შეუძლია ჯგუფისა და მსმენელთა ჩართულობის უზრუნველყოფა
18. ტრენინგის მიერ გამოყენებული სავარჯიშოები შეესაბამება ტრენინგპროგრამას



მოდულის განმახორციელებელი პირების თვითშეფასების შედეგების ანალიზი


საანგარიშო პერიოდში თვითშეფასება განახორციელა 16-მა პროფესიულმა მასწავლებელმა. მათ შორის:

1. სოფიო ინაშვილი
2. გუგუნავა ნია
3. მასიურაძე თეა
4. ბოგველიშვილი ვახტანგ
5. ლაშა ცაგარეიშვილი
6. თეა ნადირაშვილი
7. ბოლქვაძე ტიტე
8. ლაშა იაშვილი
9. ერაძე კახაბერ
10. იზაბელა გრიგორიანი
11. მანანა კაციაშვილი
12. კვატაშიძე დარეჯან
13. მაზმიშვილი ანა
14. ცაგარეიშვილი პაატა
15. ქეთევან მაისურაძე
16. გვრიტიშვილი მარინე

მასწავლებელთა თვითშეფასების კრიტერიუმების იყო:

კრიტერიუმი №1. პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარები, სწავლის თეორიები და სასწავლო გარემო

1.1. ვაცნობიერებ პასუხისმგებლობას თითოეული სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე და ვცხდარები სტუდენტებს ცოდნისა და უნარების გამომუშავებაში



1.2. აღწერეთ თქვენ მიერ განხორციელებული აქტივობები, რამაც ხელი შეუწყო სტუდენტთა პროფესიულ განვითარებას, ცოდნისა და უნარების გამომუშავებას

მასწავლებელთა მიერ დასახელებული აქტივობებია:

ერთ-ერთი მოდულის (საგადასახადო დეკლარირება) განხორციელებისას სტუდენტებს ერთად დავაარსე ორგანიზაცია და მთელი კურსის მიმდინარეობისას ვახდენდით ამ ორგანიზაციის ადმინისტრირებას. მოდულის ყველა კრიტერიუმის გავლა მოხდა ამ ორგანიზაციის ფარგლებში, რაც ვფიქრობ დიდი გამოცდილება იყო თითოეული სტუდენტისთვის და დაეხმარა მათ საკუთარი მცირე საწარმოს მართვისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებაში.

უფრო მეტი დატვირთვა პრაქტიკულ მეცადინეობებზე, ვიდრე თეორიულზე

ინტერაქტიული ლექციები, პოლური თამაშები

სტუდენტებს ვაცნობ რეალური სამუშაო გარემოს თავისებურებებს. ვუყვები მათ პროფესიასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე, სიახლეებზე, პრობლემებზე.

საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით სწავლება. რეალური მაგალითების შესწავლა და გაანალიზება.

მე როგორც პრაქტიკოსი მუშაკი ყოველთვის ვუზიარებ საკუთარ გამოცდილებას.

პირადი გამოცდილების საფუძველზე სტუდენტებს ვესაუბრები მათი მომავალი პროფესიის შესახებ, პროფესიის დადებით მხარეებზე, შესაძლო სირთულეების შესახებ სამუშაო პროცესში

ერთი და იგივე საკითხის პერიოდული პრაქტიკული მეცადინეობა, შემდეგ ახალი მასალის ახსნის შემდეგ ზველთან ერთად კლავ ახალი მეცადინეობა

ვარ მოდულის განმახორციელებელი და ამ გზით ხელს ვუწყო პროფესიულ სტუდენტთა კომპეტენციების განვითარებას.

გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოები, სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანის გადაჭრა, სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის შესრულება დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად (გაინაწილეთ როლები და გაითამაშეთ მეწყვილესთან ერთად, ჩამოართვი ინტერვიუ...

მუდმივად ვაძლევ დავალებებს, რომლებიც შეიცავენ ახალ მასალას და მასში აუცილებლად შედის ძველი ცოდნის გამეორებაც.

პრეზენტაციები, პრაქტიკული დავალებები, სიმულაციები, რეალურ დოკუმენტებთან და პროფესიულ ვებ.გვერდზე მუშაობა


ჩემ მიერ განხორციელებული აქტივობები ძირითადად მოიცავდა ლექციის ფარგლებში გამოყენებულ სწავლების მეთოდებს, რაც ხელს უწყობდა სტუდენტთა ჩართულობასა და დაინტერესებას სწავლის პროცესში: დისკუსიები, დებატები, პრეზენტაციები მოდულით გათვალისწინებულ თემებზე.

პრაქტიკული მაგალითები

გაკვეთილის/ლექციის დაგეგმვისას და მუშაობის პროცესში სისტემატიურად ვიყენებ გონებრივი იერიშის ტექნიკას, სხვადასხვა ინტერაქტიულ აქტივობებს, დისკუსიებს. ამის გარდა, ჩემი აზრით, სწავლების ერთ ერთი პროდუქტიული მეთოდი არის მუშაობა პატარა ჯგუფებში და წყვილებში. განსაკუთრებით, ამას ვითვალისწინებ, როცა ვამზადებ დავალებებს, სადაც შედის მრავალჯერადი არჩევანი (multiple-choice). თემის ვიზუალიზაცია უმნიშვნელოვანესი კომპონენტია პროგრესის მისაყწევად, ასე რომ, ვიდეო მასალების გამოყენება და პრეზენტაციები (PowerPoint) აუცილებლად შედის გაკვეთილის გეგმაში. ასევე, რეგულარულია მოსმენითი, სალაპარაკო, წერითი დავალებები.

მოდულის თემატიკის ფარგლებში ლექციის ჩატარება, დისკუსია, ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო.

1.3. ვაცნობიერებ სტუდენტის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებსა და მათ გავლენას



1.4. აღწერეთ თქვენ მიერ განხორციელებული ქმედებები, რა დროსაც გაითვალისწინეთ სტუდენტის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები სწავლებასა და სწავლის პროცესში

მასწავლებელთა მიერ დასახელებული აქტივობებია:

სტუდენტის ინდივიდუალური თავისებურებები, რომლის გასათვალისწინებაც მომიწია და ჩემთვის საკმაოდ რთული და დამაფიქრებელი იყო, გახლდათ ჯგუფში შშმ პირის ყოფნა. მე მუდმივად ვცდილობ ეს სტუდენტი, ჩართული იყოს სასწავლო პროცესში. მაგ: როცა მთელი ჯგუფი ოფერტის შეთავაზებაზე მუშაობდა, (წერილობითი ფორმით) მე მას საშუალება მივეცი ოფერტის მიმღები მხარე ყოფილიყო და სატელეფონო ზარის საშუალებით, რეალურად მიღებული ოფერტის პირობები განეხილა და თავად მიელო გადაწყვეტილება დათანხმებოდა მას თუ არა.

თუ რომელიმე სტუდენტი ნაკლებად ითვისებს მასალას, ვცდილობ მასქიმალურად ბევრი ვავარჯიშო პრაქტიკულად, ისამდე, სანამ მასალას არ გაიგებს

ჯგუფში არ დაფიქსირდა ასაკობრივი თავისებურებებით გამოხატული სტუდენტი, გვყავდა ინდივიდუალური - "ვოლფრამის სინდრომის" მატარებელი სტუდენტი, რომელსაც პერსონალურად მიეწოდებოდა სასწავლო მასალა და განმავითარებელი შეფასების დავალებები.

რიგ შემთხვევებში, სტუდენტთა თავისებურებების გათვალისწინებით, მიწევს საკითხის ახსნამდე გარკვეული ბაზისის მომზადება, მათთვის საკითხის გარშემო ზოგადი ცნობიერების ამაღლება და მხოლოდ ამის შემდეგ გადავდივარ უშუალოდ პროგრამით გათვალისწინებულ თემატიკაზე.

ძირითადად სხვადასხვა ენოვან ჯგუფებში, რა დროსაც ქართულთან ერთად გამომიყენებია სხვა ენაც.

ვცდილობ ინდივიდუალურად მივუდგე თითოეულ მოსწავლეს და ინდივიდუალურად ავუხსნა ახალი ახსნილი მასალა პრაქტიკულად.

ჩემს ჯგუფებში მნიშვნელოვანი ასაკობრივი განსხვავება არ ყოფილა. რაც შეეხება ინდივიდუალურ თავისებურებებს მაქსიმალურად ვცდილობ დავალების შესრულების ვადების ან სპეციფიკის მიხედვით გავითვალისწინო თავისებურებები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სწავლებისა და შეფასების პრინციპებს. მაგალითად, მატერიალური სახით დავალების

საკონტაქტო საათზე წარმოდგენის ალტერნატივად განვიხილავთ ნებისმიერ დროს დავალების ფეისბუქ ჯგუფში ატვირთვას და უკუკავშირსაც ზოგჯერ ამ გზით ვახორციელებთ.

დავალებები, თემები, დიალოგები არის შერჩეული მოდულის-სპეციალობის გათვალისწინებით ვსწავლობ სტუდენტის ხასიათს და ვცდილობ მოვერგო მის მოთხოვნებს. თუმცა ჩემს საგაკვეთილო ინტერესებს ბოლომდე ვითვალისწინებ.

ამ დროს მთავარია სტუდენტი დაინტერესდეს პროფესიით და ვცდილობ საინტერესო და აქტუალური მაგალითებით დავანახო მათ ჩემი პროფესიის უპირატესობა, სტუდენტის ხასიათის შესწავლის შემდეგ ვცდილობ დავალებები მათი უნარის, შესაძლებლობის მიხედვით მივცე.


ყველა სტუდენტი ინდივიდუალურია და შესაბამისად თითოეული საჭიროებს პედაგოგისგან მასზე მორგებულ მიდგომასა და სწავლების მეთოდს. როდესაც ვხედავ რომ სტუდენტმა კარგად ვერ გაიგო ლექციის თემა, შესაბამისად ვცდილობ და არ ვიზარებ კიდევ ერთხელ ავუხსნა მას ყველაფერი და თუ ისევ ვერ გაიგო, შესაბამისად მონმყავს პრაქტიკული მაგალითი განსახილველ თემაზე.

არ მახსენდება კონკრეტულად რა დროს, მაგრამ ყოველთვის ვითვალისწინებ.

ზოგადად, დავალება უნდა იყოს შედგენილი ასაკობრივი და ინდივიდუალური დონის გათვალისწინებით. აქვე მინდა ვთქვა, რომ ყველა პროფესიული სტუდენტი, ვისთანაც მე ვმუშაობ, არის სრულწლოვანი და ჩამოყალიბებული, რაც ძალიან მიადვილებს მუშაობას, რადგან გაკვეთილის/ლექციის დროს ხშირად გვაქვს დისკუსიები სხვადასხვა საზოგადოებაში აქტუალურ თემაზე. მაგალითისთვის, ტურისტული რესურსები ან მდგრადი ტურიზმის განვითარების თემის განხილვის დროს სტუდენტებმა ერთერთი დავალების მიხედვით წარმატებით მიაღწიეს კონსენსუსს.

თემის მიწოდებისას მუდმივად ვითვალისწინებ სტუდენტის ინდივიდუალურ თავისებურებებს, იქნება ეს ასაკობრივი, ენობრივი, თუ სხვა, და შესაბამისად მიმყავს ლექცია. ისე რომ ეს ინდივიდუალური მიდგომა არ იყოს შესამჩნევი და მოსაწყენი სხვა სტუდენტებისთვის. ამისათვის ვიყენებ მაგალითად ინდივიდუალურ სამუშაოებს და ა.შ.

1.5. ვებმარები სტუდენტებს პროფესიული ცოდნის აგებასა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში



1.6. აღწერეთ თქვენ მიერ განხორციელებული აქტივობები, რამაც ხელი შეუწყო პროფესიული სტუდენტის ცოდნის აგებასა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას

მასწავლებელთა მიერ დასახელებული აქტივობებია:

ვეხმარები რამდენადაც სტუდენტები ამის საშუალებას მაძლევენ

სტუდენტებს, ლექციების დროს და არამარტო, ყოველთვის ვაჩვენებ სხვადასხვა ადამიანთა მაგალითების განხილვით, რომ სწავლა დინამიური პროცესია, იგი მუდმივ გაუმჯობესება-განახლებას მოითხოვს.

პიროვნებათაშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციების განსავითარებლად ჩემ მიერ განხორციელებული მოდული "ინტერპერსონალური კომუნიკაცია" და სასწავლო პროცესში გამოყენებული ქეისები, როლური თამაშები პირდაპირპროპორციულად უკავშირდება პროფესიული სტუდენტის ცოდნის აგებასა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას

კონკრეტული ადამიანებისა თუ შემთხვევების მაგალითზე ვცდილობ ვუჩვენო მათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია უწყვეტი განათლების მიღება ადამიანისთვის. ვაძლევ მათ დავალებებს, რომ მოიძიონ გარკვეული ინფორმაცია, სიახლეები, საბაჟო თემატიკასთან დაკავშირებული კოდიფიცირებული ბრძანებები. ვცდილობ, მივაჩვიო დამოუკიდებელ მუშაობას.

ონლაინ კურსებზე მითითებების მიცემა.

ვდგავთ როლურ თამაშებს, ადაც ხელოვნურად ვუქმნი მათ ისეთ სიტუაციას, სადაც განსაკუთრებით საჭიროა მათი გონებრივი გამჭრიახობა. მაგ: ჩაირთო საცავის განგაშის სიგნალი.

ლექციების პროცესში სისტემატურად მაქვს სტუდენტებთან საუბარი, რომ მხოლოდ ლექციებიდან მიღებული ცოდნა არ იქნება მომავალში საკმარისი და სისტემატურად უნდა მოახდინონ თვითგანვითარება, კანონმდებლობაში სიახლეების გაცნობა, ტრენინგებზე სიარული ვეხმარები პრაქტიკული უნარ ჩვევების დაუფლებაში, კერძოდ, ქსელის დაჯეკავა. სისტემის გადაყენება სხვადასხვა BIOS-ის სისტემაზე.

ჩემი სასწავლო კურსის ფარგლებში ვითხოვ რა დავალების შესრულებას არახელნაწერი სახით, ასევე ცხრილების შევსებას, მასალებს და დავალებებს ვტვირთავ ინტერნეტში, ხელს ვუწყობ ციფრული კომპეტენციის განვითარებას, ვითხოვ მათემატიკური გაანგარიშებების გამოყენებას, რიტაც ხელს ვუწყობ მათემატიკური კომპეტენციის გამჭოლად განვითარებას, ასევე ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

როლური თამაშები

ვცდილობ, ვისწავლო და ვასწავლო, ჩემთვის მთავარია მივცე დიდი რაოდენობის ინფორმაცია და ცოდნა. იყოს მუდმივად კეთებაში. ახლოს იყოს დავალებები მის პროფესიასთან.

პროფესიით დაინტერესებისათვის სტუდენტებს ვამუშავებ შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე, ვაცნობ საგადასახადო კოდექსის და ნორმატიული აქტების არსსა და მნიშვნელობას.

სტუდენტებს ხშირად ვესაუბრები კარიერულ განვითარებასა და იმ თვითრეალიზაციის გეგმის შემუშავებაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მათი პროფესიული თვითგანვითარებისათვის, ასევე დღევანდელი კარიერული კონკურენციის ფონზე შრომის ბაზრის პირობებში.


პრაქტიკული მაგალითები, რომ სწავლის საჭიროებასთან დაკავშირებით.

კრიტიკული აზროვნება არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც ამავე დროს არის პროფესიული სტუდენტის ცოდნის აგებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მამოძრავებელი ძალა. გაკვეთილის დაგეგმვის და ჩატარების დროს

ზუსტად ამ უნარების განვითარებას დიდ ყურადღებას ვუთმობ. ამაში მეხმარება საინტერესო სადისკუსიო კითხვები და გონებრივი იერიშის აქტივობებები.

კონკრეტული თემის გავლის შემდეგ ვითხოვ უკუკავშირს სტუდენტებისაგან. ასევე ვაძლევ მითითებებს, სად შეძლებენ თემის გარშემო დამატებით საინტერესო ინფორმაციის მოძიებას. მაგალითად ონლაინ ტრენინგები და სემინარები.

1.7. ვქმნი შრომისა და სწავლისათვის უსაფრთხო პირობებს და საამისოდ ვიცავ დაწესებულების რეგულაციებს



1.8. აღწერეთ თქვენ მიერ განხორციელებული ქმედებები, რითაც ხელი შეუწყვეთ შრომის/სწავლისათვის უსაფრთხო პირობებისა და დაწესებულების რეგულაციების დაცვას მასწავლებელთა მიერ დასახელებული აქტივობებით:

არ დამჭირვებია

დაწესებულების შინაგანაწესის დაცვით, ყოველთვის ვცდილობ ხელი შევუწყო უსაფრთხო გარემოს შექმნას

დაწესებულების რეგულაციის მიხედვით, მონაწილეობას ვიღებ იმიტირებულ "სახანძრო უსაფრთხოებასა და თვადაცვაში"

აკადემიას თავად აქვს უზრუნველყოფილი შრომისა და სწავლისთვის უსაფრთხო და შესაფერისი გარემო, მე კი, სტუდენტებთან ერთად, ვიცავ იმ წესებს, რომელიც ამ გარემოს, ამ სახით შეინარჩუნებს. კერძოდ, არ მოვიხმართ თამბაქოსა და ალკოჰოლს შენობაში, ვუფრთხილდებით აკადემიის კუთვნილ მატერიალურ ქონებას, ლექციების დასრულების შემდეგ ვთიშავ ყველა ელექტრონულ მოწყობილობას, ვხურავ ფანჯრებს და ვკეტავ აუდიტორიას.

ტელეფონისათვის ხმის გამორთვაზე მითითებების მიცემა, ორგანიზაციულ შინაგანაწესზე ყურადღების გამახვილება და უფლება-მოვალეობების განმარტებები.

ყველა აუდიტორია იდეალურადაა აღჭურვილი და აბსოლუტურად უსაფრთხოა ყველა სტუდენტისთვის.

სწავლების დასაწყისში სტუდენტებს ვაცნობთ დაწესებულების მიერ შემუშავებულ უსაფრთხოების რეგულაციებს. პერიოდულად ტარდება ტრენინგი უსაფრთხოების კუთხით (ცხადდება ცრუ განგაში და ვახდენთ სტუდენტების ევაკუაციას გეგმის მიხედვით)

ვიცავთ IT სწავლისას უსაფრთხოების ნორმებს, კერძოდ: ანტისტატიკური ხალიჩა და სამაჯარუ, სათვალეები და სხვა.

რაიმე ქმედების საჭიროება არ დამდგარა

პირადად ვიცავ შრომისა და სწავლისათვის უსაფრთხო პირობებს

კაბინეტიდან გასვლისას ყველა სტუდენტი აწესრიგებს თავის სამუშაო ადგილს. თიშავს აუცილებლად ტექნიკას. რათა მომდევნო ჯგუფს წესრიგში დახვდეს ოთახი.

ვაცნობ სასწავლებლის შინაგანაწესს


მაქსიმალურად ვითვალისწინებ შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის დაცვის ნორმებს.

ლექციის დაწყება დამთავრება პუნქტუალურად და სხვ.

სწავლის პროცესში აუცილებლად არის გათვალისწინებული მიმდინარე მოქმედ შრომის/სწავლის უსაფრთხო პირობების და დაწესებულების რეგულაციებს განხილვა და დისკუსია. მაგალითად, ის რეგულაციები, რომლებიც არიან დაკავშირებული სახანძრო ან საგზაო უსაფრთხოებასთან.

სწავლების პროცესში ვიცავ ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რეგულაციებს უსაფრთხო გარემოსა და უსაფრთხოების პირობების დაცვის შესახებ.

1.9. ვაყალიბებ სტუდენტებს შორის პოზიტიურ ურთიერთობებს, ვაგვარებს კონფლიქტებს მშვიდობიანი გზით და ხელს ვუწყობ სტუდენტებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას



1.10. აღწერეთ თქვენ მიერ განხორციელებული ქმედებები, რამაც უზრუნველყო სტუდენტებს შორის პოზიტიურ ურთიერთობების ჩამოყალიბება და ხელი შეუწყო სტუდენტებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას

მასწავლებელთა მიერ დასახელებული აქტივობებია:

ხშირად ვიყენებ ჯგუფური მუშაობის პრინციპს, შესაბამისად ეს ხელს უწყობს სტუდენტებს შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებას

როდესაც სტუდენტებს შორის წარმოიშვება რაიმე სახის კონფლიქტი, ყოველთვის ვახსენებ მათ, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანური ურთიერთობები და პიროვნებათაშორის პოზიტიური დამოკიდებულება.

მაქსიმალურად ვცდილობ ხელი შევუწყო სტუდენტების დამეგობრებას, განვმუხტო მათ შორის არსებული მინიმალური უთანხმოებაც; ზოგადად ისინი არ არიან კონფლიქტურნი

სტუდენტებთან ასაკობრივი სიახლოვის გამო, მათთან ძალიან მეგობრული და უშუალო დამოკიდებულება მაქვს. გარდა სასწავლო საათებისა, ხშირად ვურთიერთობთ სოციალური ქსელების მეშვეობით. ეს მეხმარება მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და გარკვეული ღირებულებების შეფასებაში და შემდგომ გარკვეული ნაბიჯების გადადგმაში!

ვამღევ მითითებას facebook ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით.

ყოველთვის ვცდილობ სტუდენტებმა ერთმანეთთან დაამყარონ კომუნიკაცია და ქონდეთ კარგი დამოკიდებულება.

გუნდური მუშაობით, სხვადასხვა ამოცანების შესრულება გუდებად დაყოფით ვცდილობ ლექცია და პრაქტიკური მეცადინეობა იყოს ხალისიანი, ურთიერთობა პარტნიორული მრავალეთნიკური ჯგუფებიც გვყავს, სტუდენტები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მაგრამ ეს არასოდეს ხდება, თუნდაც ოდნავი დამაბულობის მიზეზი ჯგუფში. საგაკვეთილო პროცესი უნდა ტარდებოდეს მუდმივად პოზიტიურ გარემოში, რომელიც ძირითადად მოდის პედაგოგიდან

ვამღევ დავალებებს, რომლებიც უნდა შეასრულონ ერთად და ამასთან დაეხმარონ ერთმანეთს გაურკვეველი საკითხების გაგებაში


ვესაუბრები სტუდენტებს და ვუხსნი როგორ უნდა დაიცვან ეთიკის ნორმებისა და შეინარჩუნონ პოზიტიური ურთიერთობები ერთმანეთში.

პრაქტიკული მაგალითები პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე.

მე პატივს ვცემ ჩემს სტუდენტებს. ვცდილობ ვიყო გულახდილი. პატივს ვცემ თითოეული სტუდენტის ინტერესს, მის ინდივიდუალურ და სტუდენტთა კოლექტივის აზრს. ვცდილობ ადამიანზე არასდროს არ ვილაპარაკო ცუდად. დადებითი დამოკიდებულება გამაჩნია სასწავლებელში სტუდენტთა სტიმულირების მიმართ, შემიძლია დავინახო პროფესიული სტუდენტის წარმატებები და წავახალისო ისინი . სოციალურ ქსელში შექმნილი მაქვს ჯგუფი, სადაც გაერთინებულები არიან სტუდენტები. გვაქვს ხშირი კომუნიკაცია კალენდარული გეგმის მიხედვით გავლილ სხვადასხვა თემებზე. ამის გარდა, ყოველთვის მზად ვარ ვუპასუხო სტუდენტის ნებისმიერ კითხვას.

ლექციების მსვლელობისას ყოველთვის ვამახვილებ ყურადღებას ჯანსაღი კონკურენციის და ეთიკური ღირებულებების ირგვლივ.

1.11. ვაცნობიერებ ჯგუფის მართვის სტილის გავლენას სტუდენტის განწყობაზე, ქცევაზე და სწავლის შედეგებზე და ვმართავ სტუდენტების ქცევას წყვილებში, დიდ და მცირე ჯგუფებში, ვასწავლი თანამშრომლობით ურთიერთობებს და ხელს ვუწყობ აზრის გაბედულად გამოხატვას



1.12. აღწერეთ ჯგუფის მართვის თქვენი სტილი მასწავლებელთა მიერ დასახელებული აქტივობებია:

ჯგუფის სამართავად ვიყენებ დემოკრატიული მართვის სტილს. ვამღევს სტუდენტებს მოქმედების თავისუფლებას და ხელს ვუწყობ მათ ინიციატივის გამოვლენაში

სხვადასხვა აქტივობებიდან გამომდინარე, ლექციის დროს ვგეგმავ ჯგუფურ აქტივობებს ან აქტივობას წყვილებში. ყველა შემთხვევაში სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი, ითავისებენ თავიანთ ფუნქცია- მოვალეობებს.

მოდულის განხორციელებისას, განავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებულია როლური თამაშები, ხდება მათი გადანაწილება ჯგუფებში, და დაყოფა წყვილებად

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩემი ლექციების ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) ხიბლია ინტერაქცია. ყველას თანაბარი უფლება აქვს აზრის გამოთქმისა და თავის გამოხატვის. აქვე ვაღიარებ, რომ ეს ხანდახან ისეთ ცხარე დისკუსიაში გადადის, რომ მიჭირს აუდიტორიის დაშოშმინება და მშვიდა გარემოს შენარჩუნება. თუმცა, ვფიქრობ, რომ ამას მხოლოდ დადებითი შედეგი მოაქვს.

ვაცნობ ერთმანეთს ლექციის შესავალ ნაწილში. თითოეულ სტუდენტს ვაძლევ 1 წუთს საკუთარი თავის მოკლე სიტყვებით აღწერისათვის.

მივმართავ ჯგუფურ თამაშებს, რაც სახალისო და ძალიან ინფორმატიულია, აქვთ აბსოლუტური თავისუფლება და აზრის გამოხატვის საშუალება.

ლექციები რომ უფრო საინტერესო და მიმზიდველი იყოს სტუდენტებისთვის, ხშირად ვიყენებ როლურ თამაშებს ლექციებზე. ვახდენ ჯგუფის გაყოფას და ვაძლევ სხვადასხვა დავალებებს (მაგალითად: ერთმა სტუდენტმა დაბეჭდა დეკლარაცია, ხოლო მეორემ უნდა შეამოწმოს მისი დაბეჭდილი)

თითოეული ჯგუფის მოსწავლე პასუხისმგებელია კონკრეტულ კომპიუტერზე ან ამოცანაზე რაც უნდა შეასრულოს, ვიღებ რა მათ იღებს და შემოთავაზებებს

წახალისებულია დავალებების ჯგუფურად შესრულება. რომელი ერთი?

ვიცი აბსოლუტურად ყველა სტუდენტის ტელეფონი და ფოსტა. გაცდენის ან დაგვიანების შემთხვევაში უმეტეს შემთხვევაში ვარკვევ მიზეზს. საჭიროების შემთხვევაში ვუკავშირდები კიდევ. ამისთვის ვიყენებ სოციალურ ქსელსაც. ეს ხდება მეგობრულ ფარგლებში.

მე მათი მეგობარი ვარ, მაგრამ პედაგოგი, რომელსაც მათი პროფესიონალად ჩამოყალიბება სურს, არ გამოცხადების შემთხვევაში ვუკავშირდები და ვარკვევ არ მოსვლი მიზეზს, ხშირად თვითონაც მიკავშირდებიან


დემოკრატიული

ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე.

ყოველი გაკვეთილი/ლექცია დაგეგმილი არის ისე, რომ სტუდენტებს სისტემატურად აქვთ საშუალება იმუშაონ წყვილებში ან პატარა ჯგუფებში. ასევე, დავალების შესრულების შემდეგ ერთმანეთის ნამუშევრებს (Peer Checking Technic) ამოწმებენ და აკომენტარებენ. ეს სწავლის მეთოდი სერიოზულად მეხმარება ჯგუფის მართვის თვალსაზრისით.

აღნიშნულის განსავითარებლად, სწავლებისას ხშირად ვიყენებ ჯგუფურ სამუშაოებს(წყვილებში და/ან ჯგუფებში) და პრეზენტაციებს, სადაც სტუდენტებმა ნათლად და არგუმენტირებულად უნდა წარმოაჩინონ საკუთარი მოსაზრებები.

1.13. ვიცნობ ინკლუზიური განათლების პრინციპებს და ვიყენებ მას საკუთარი საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაში



1.14. აღწერეთ თქვენ მიერ გამოყენებული ინკლუზიური განათლების მიდგომები, რომელი გამოიყენეთ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაში

მასწავლებელთა მიერ დასახელებული აქტივობებია:

მაგ: სხვადასხვა სტუდენტებისთვის განსხვავებული დავალებების მიცემა.

ვიცნობ ინკლუზიური განათლების პრინციპებს, მაგრამ ამ ეტაპზე არ ჩემს სალექციო ჯგუფში არ არის მისი გამოყენების საჭიროება

მკვეთრად გამოხატული ინკლუზიური ფონით სტუდენტი არ მყოლია

ინკლუზიურ განათლების პრინციპებთან დაკავშირებით მაქვს ზოგადი ცოდნა და ვცდილობ ყოველთვის გავითვალისწინო პროფესიული საქმიანობის პროცესში.

საჭიროების შემთხვევაში ვიყენებ ვიდეორგოლებს, სუბტიტრებით.

ასეთი შემთხვევა არ მქონია.

არ მქონია ასეთი შემთხვევა

გაცნობილი ვარ ინკლუზიურ განათლების სახელმძრვანელოს მასწავლებლებისთვის. ვითვალისწინებ მოცემულ რჩევებს

საჭიროება არ დამდგარა

არ მყავს

გავლილი მაქვს უამრავი ტერენინგი ამ მიმართულებით, მყოლია უამრავი სტუდენტი რომლებიც საჭიროებენ ამ მიდგომებს,

არ გამომიყენებია, რადგან ასეთი შემთხვევა არ მქონია


სრული ჩართულობა და ინტეგრირებული სწავლება

არ დამჭირვებია

ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ჩართვას სწავლის პროცესში თანატოლებთან/ჯუფელებთან ერთად. ამ ეტაპზე ჩემ სტუდენტებს შორის სპეციალური საჭიროების მქონე პირები არ მყავს, მაგრამ, ზოგადათ. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა პროფესიულ სტუდენტს/მოსწავლეს მისცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა.

ვიცნობ ინკლუზიური განათლების პრინციპებს, თუმცა ჩემს პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა მათი გამოყენების საჭიროება.

1.15. ვიყენებ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს საგნის ეფექტურად სწავლების მიზნით, მათ შორის პრეზენტაციებს



1.16. აღწერეთ, როგორ იყენებთ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს საგნის ეფექტურად სწავლების მიზნით

მასწავლებელთა მიერ დასახელებული აქტივობებია:

პრეზენტაცია, ლექციასას ინტერნეტში მუშაობა, შესაბამისი დოკუმენტების შედგენისას კომპიუტერში მუშაობა და არა ფურცლებზე.

სალექციო კურსის დროს ვიყენებ ტექნოლოგიებს (კომპიუტერი, პროექტორი) ეფექტური სწავლებისათვის

პრეზენტაციები და ინტერმეტ-ბმულები სასწავლო პროცესის წარმართვის ეფექტური საშუალება, რომელსაც ინტენსიურტად ვიყენებ.

მოდულის (სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი) სპეციფიკიდან გამომდინარე, ყოველი ლექციის თანმდევი პროცესია პრეზენტაცია და ვიდეო მასალები.

სასაწვლო მასალასთან ერთად, თითოეული ლექცია მოიცავს პოვერ პოინტის დოკუმენტს.

პროგრამაში მუშაობა ჩვენი პროფესიის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ ხშირად ვიყენებ.

თეორიული ლექციები ძირითადად ხორციელდება ჩემს მიერ შექმნილი პრეზენტაციებით, პრაქტიკულ მეცადინეობები ტარდება დაწესებულების შესაბამის გარემოში და კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. ასევე ხშირად ვიყენებთ საკანონმდებლო ბაზებს

სკაიპი, ან სხვა მესენჯერის გამოყენებით, ასევე ვიდეო ჩვენების დროს

სასწავლო მასალებს სტუდენტებს ვაწვდი ინტერნეტის მეშვეობით, ამასთან ვიყენებ ვიდეოფილმებს და ელექტრონულ რესურსებს.

მოსმენის დავალებები, კინოფილმების ყურება

დიდ წილად დამოკიდებული ვარ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე

ვატარებ პრეზენტაციებს, ვიყენებ ელექტრონულ ფოსტას დავალებების გაგზავნის და მიღების დროს. ასევე ვიყენებ სოციალურ ქსელს და ჯგუფში ვაძლევ დავალებებს.


ვიყენებ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს საგნის ეფექტურად სწავლების მიზნით. (ინტერაქციული ლექციები)

ინფორმაციის მოძიება/გაგზავნა/დამუშავება ინტერნეტის მეშვეობით

ზოგადად, ნებისმიერი საგნის, და მითუმეტეს უცხოური ენის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გარეშე სწავლება დღეს წარმოუდგენელია. მულტიმედიურ რესურსებს ყოველი გაკვეთილის დროს ვიყენებ: ვიდეოების ყურება შემდგომი დისკუსიებით, პრეზენტაციები, ინტენეტ-ლექსიკონები, საზებო სისტემები, აუდიო (მოსმენითი დავალების შესრულებისთვის), ხმის ჩაწერის პროგრამები. უნდა ითქვას, რომ მულტიმედიის გამოყენება ამდიდრებს სწავლის პროცესს და უფრო ეფექტურ ხდის.

ყველა მოდულის განხორციელებისას აქტიურად ვიყენებ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს როგორც მასალის ახსნისას (სლაიდების სახით), ასევე მოდულიდან გამომდინარე საბანკო პროგრამაში მუშაობის სწავლებისას. ასევე სტუდენტებზე მიცემული დავალებები ხშირად აგებულია ისე, რომ მათ უნდა წარმოადგინონ პრეზენტაციები და ვორდში გაკეთებული ანგარიშები კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით.

1.17. ვებმარეზი სტუდენტებს ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში



1.18. დასახელეთ თქვენ მიერ განხორციელებული აქტივობები, რამაც ხელი შეუწყო სტუდენტების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას

მასწავლებელთა მიერ დასახელებული აქტივობებია:

სტუდენტებისათვის სპეციალურად მაქვს უცხოენოვანი ტექსტები ეკოლოგიური ცნობიერების ასამაღლებლად, როგორცაა ACT GREEN და სხვ. ტექსტების თარგმნისას, ვსაუბრობთ ასევე პირად გამოცდილებასა და ვალდებულებებზე ეკოლოგიურად სუფთა გარემოსთვის.

ვსაუბრობთ ეკოლოგიის დაბინძურების გამომწვევ ფაქტორებზე

ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობა ჩემთვის მეტად სენსიტიური საკითხია და არამარტო სტუდენტებს, არამედ ნებისმიერ გარშემომყოფს მოვუწოდებ/ვთხოვ დადგენილი რეკომენდაციების/რეგულაციების შესრულებას!

მითითების მიცემა, აკადემიის ბიბლიოთეკის პირდაპირ განთავსებულ სპეციალურ საქალაქე ურნაზე.

გვისაუბრია ზოგადად, ამას ვერ დავარქმევდი ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბებას.

პერიოდილად, განტვირთვის მიზნით, ლექციებზე მცირე დროს ვუთმობთ სალექციო თემისგან განსხვავებულ საკითხებს, მათ შორის ეკოლოგიურ პრობლემებსაც

it პროფესიაში, ეკოლოგიური შემადგენლობის გაცნობა სხვადასხვა მოწილობების, როგორცაა, კატრიჯი, ბატარეა და სხვა.

ალბათ უფრო სპონტანურად თუ წამოიჭრება ხოლმე ეს საკითხი გაკვეთილზე

არ მქონია ასეთი აქტივობა


სტუდენტებს ხშირად ვესაუბრები ბუნების დაცვასა და ეკოლოგიაზე, რადგან ჩვენ შეგვიძლია დავიცვათ გარემო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ყველა ადამიანი აცნობიერებს ამის საჭიროებას, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს გააცნობიეროს თავისი როლი ბუნებაში, ჩამოყალიბდეს პასუხისმგებლობა და იყოს მზად დაიცვას გარემო დაბინძურებისაგან.

პრაქტიკული მაგალითები

გაკვეთილების/ლექციების მსვლელობისას სტუდენტების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების მიზნით ხშირად განვიხილავთ საკითხებს, რომლებიც აღნიშნულ თემასთან პირდაპირ კავშირში არიან. მაგალითისთვის, ერთ ერთი ბოლო გაკვეთილის თემა იყო „ტურიზმის განვითარება საქართველოში“, რომელიც შეიცავდა ბევრ ასპექტს, მათ შორის ნატურალური რესურსების სწორი მართვა და დაკონსერვება.

ორგანიზაცია აქტიურად ზრუნავს სტუდენტებში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებისთვის, რისი ერთ-ერთი მაგალითია "მწვანე ყუთები". აღნიშულ მიდგომებს ვეთანხმები და ხელს ვუწყობ სტუდენტებში ამაღლდეს ეკოლოგიური ცნობიერება.

1.19. ვიცი როგორ ვიმოქმედო საფრთხის შემცველი შემთხვევის დროს ან როგორ უზრუნველყო სტუდენტისთვის/კოლეგისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა



1.20. ვიცი როგორ ვიმოქმედო განსაკუთრებული შემთხვევის დროს ან როგორ უზრუნველყო სტუდენტისთვის/კოლეგისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა

მასწავლებელთა მიერ დასახელებული აქტივობებია:

ვიცი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ვიცი აკადემიის ევაკუაციის გეგმა ხანძრის ან რაიმე ასეთი ტიპის შემთხვევაში, ვიცი მაქრობების გამოყენება

ამ ეტაპზე არ გამაჩნია სათანადო ცოდნა და უნარები პირველადი დახმარების აღმოსაჩენად პირველადი დახმარების ტრენინგის გავლსი შემდეგ, რომელიც უზრუნველყო დაწესებულებამ, არაეთხელ დაგვჭიდა მისი გამოყენება სტუდენტების მიმართ.

გასულ წელს გავიარე სწავლება პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შესახებ და ვიცი, როგორ უზრუნველყო პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა

სასაწვალო-საგანგაში სიგნალიზაციის დროს, სტუდენტებს მივეცი მიმართულება რომ გასულიყვნენ აკადემიის ეზოში, პანკის და შფოთვის გარეშე. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შემთხვევა, საბედნიეროდ არ მქონია.

გააცნია პრობლემა რა სახისაა.

გავლილი მაქვს შესაბამისი ტრენინგი, თუმცა დოკუმენტური მტკიცებულება არ გამაჩნია.

ვეცდები

ამ მიმართულებით ტრენინგები ჩავგიტარდა, მაგრამ ასეთი სიტუაციაში ჯერ ჩემი თავი არ გამომიცდია.

შემთხვევის დროს ვეცდები დახმარება გავუწიო საჭიროებისამებრ.

იმის მიხედვით თუ რა სახის გადაუდებელი დახმარება ესაჭიროება სტუდენტს/კოლეგას, ვიმოქმედებ შესაბამისად.

ჰაიმლიხი მეთოდი


პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დროს ჩვენი ქმედებები ზუსტად უნდა იყოს დაგეგმილი. და შემდეგი საფეხურებისაგან უნდა შედგებოდეს: 1. შემთხვევის ადგილის დათვალიერება/სიტუაციაში გარკვევა; 2. უსაფრთხოების უზრუნველყოფა; 3. ცნობიერების შემოწმება; 3. დახმარების დროული მოხმობა; 4. პირველი დახმარების გაწევა შემთხვევის და

ხარის ანალიზის გამოდინარე (ამ სტადიაში ხშირად იგულისხმება დახმარების პროცესში სპეციალისტის ან სათანადო გამოცდილების და სერტიფიკატის მქონე პირის ჩართულობა).

ორგანიზაციაში პერიოდულად ტარდება ტრენინგები სტუდენტებისთვის და თანამშრომლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებების, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის და სხვ. შესახებ. აქედან გამომდინარე ვიცი მსგავსი სიტუაციების დროს როგორ ვიმოქმედო და დახმარებს გავუწიო სტუდენტს/ კოლეგას.

კრიტერიუმი №2. სწავლება და შეფასება

2.1. ვაცნობიერებ და ვაფასებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, როგორც ორგანიზაციის სპეციფიკას



2.2. ვაცნობიერებ და ვაფასებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, როგორც ორგანიზაციის სპეციფიკას

ვიცი პროფესიული განათლების სექტორის სპეციფიკას, ვიცნობ ავტორიზაციის მოთხოვნებს, ვაცნობიერებ პროფესიულ განათლებაში არსებულ გამოწვევებს.

პროფესიული განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე, ორიენტირებული ვარ პრაქტიკული უნარების განვითარებისაკენ

საგანმანათლებლო დაწესებულის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვაფასებ და ვაცნობიერებ მის როლს განათლებული თაობის აღსაზრდელად

ვაცნობიერებ იმ პასუხისმგებლობას, რაც მეკისრება როგორც პედაგოგს და ვცდილობ, განუხრელად და პირნათლად შევასრულო დაკისრებული მოვალეობა.

ვაცნობიერებ, რომ SBA წამყვანი პროფესიული სასწავლებელია საქართველოს ბაზარზე და ყოველი ლექციის დროს, ვცდილობ ჩემი წვლილი შევიტანო აღნიშნულ საკითხში.

გავეცანი და სრულად მოვერგე ორგანიზაციის სპეციფიკას.


ვფიქრობ, პროფესიული განათლება აძლევს უფრო ფუნდამენტალურ ცოდნას ვიდრე უმაღლესი სასწავლებელი.

ჩვენი საწესებულება არის ერთი ორგანიზმი, თავს ვგრძნობ ამ კოლექტივის წევრად და გულშემატკივრად. და რაც მთავარია ამ ორგანიზაციაში თავს ვგრძნობ კარგად

ვაცნობიერებ, რომ ვარ საგანმანათლებლო ორგანიზაციის დიდი კოლექტივის წევრი, რომელიც აქტიურად იღწვის მსმენელთა განათლებისა და ჩვენი მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის

რათქმუნდა, ჩემთვის ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა აკადემიის გუნდთან მუშაობა. ვაცნობიერებ და ვაფასებ კოლეჯის , როგორც ორგანიზაციის სპეციფიკას. ვიცნობ შენაგანაწესს, ჩემზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს და ვმოქმედებ შესაბამისად. მე, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლის დარგობრივი ინგლისური ენის სპეციალისტი, სრულად ვაცნობიერებ და ვაფასებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, როგორც ორგანიზაციის სპეციფიკას.

2.3. მოდულის ფარგლებში ვგეგმავ სასწავლო პროცესს და წარმართავ მას მოდულის მოთხოვნების, სტუდენტთა ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების, დროისა და სასწავლო რესურსების გათვალისწინებით



2.4. მოდულის ფარგლებში ვგეგმავ სასწავლო პროცესს და წარმართავ მას მოდულის მოთხოვნების, სტუდენტთა ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების, დროისა და სასწავლო რესურსების გათვალისწინებით

ვადგენ კალენდარულ გეგმას, ვახდენ სწავლის შედეგებისა და კრიტერიუმების შინაარსობრივად დალაგებასა და სწავლებას. ზოგჯერ ვცვლი სასწავლო რესურსს (თუ მიმაჩნია რომ სხვა უკეთესი სასწავლო რესურსი არსებობს)

გამომდინარე მოდულის სპეციფიკიდან და მისი სწავლის შედეგებიდან, ვგეგმავ სასწავლო პროცესს სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით

სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოდულსი შესაბამისად და როგორც ზემოთ აღვნიშნე მორგებულია სტუდენტთა საჭიროებებზე; სასწავლო პროცესისი მსველეობისას სასწავლო რესურსის მინიმალური ცვლილებებით

სასწავლო პროცესს ვგეგმავ მოდულის დაწყებამდე, თუმცა შემდგომ იგი, საჭიროების შემთხვევაში, მთლიანად ერგება სტუდენტთა ინდივიდუალურ/ასაკობრივ თავისებურებებს.

მოდულის მოთხოვნები ის მინიმუმია, რაც სრულდება ლექციაზე, ვიყენებ დამატებით მასალებსა და ვგეგმავ დამატებით მიდგომებს.

სასწავლო პროცესი მოდულის ფარგლებშია დაგეგმილი და რესურსი სრულად იძლევა იმის საშუალებას, რომ დავაკმაყოფილოთ მოდულის მოთხოვნები.ასაკობრივი პრობლემების თავისებურებები არ შემხვედრია

სასწავლო გეგმისა და მოდულის მიხედვით ვადგენ კალენდარულ გეგმას და იმ შემთხვევაში, ჯგუფიდან გამომდინარე, თუ ვერ მივყევი კალენდარულ გეგმას, ვაკეთებ ჩანაწერებს, რომ მოხდეს შემდეგ ჯგუფებთან მათი გათვალისწინება (თუმცა ჩემი აზრით ორი ერთნაირი ჯგუფი

არასდროს არ იქნება და ჩანაწერების გაკეთება და მათი გათვალისწინება სედეგს ვერ მოგვცემს, ახალ ჯგუფთან ყოველთვის ახალი ჩანაწერების გაკეთება მოგიწევს)

კალენდარულ გეგმაში არის ასახული ყოველივე.


აუცილებლად მოდულის ფარგლებში.

თითოეული მოდულის სწავლების დროს ვცდილობ რეალური ორგანიზაციის სამეურნეო ოპერაციებით დავეგემო სწავლის პროცესი, რომ გასაგები და საინტერესო იყოს მსმენელებისათვის

როგორც პროფესიული (დარგობრივი ინგლისური ენის) მასწავლებელი ვგეგმავ, ვქმნი და წავრმარტავ ინდივიდუალურ გრძელვადიან და მოკლევადიან სასწავლო გეგმას თითოეული პროფესიული სტუდენტის მიზნებისა და საჭიროებებისამებრ.

მოდულის ფარგლებში წინასწარ ვგეგმავ და ხარისხის სამსახურთან ვათანხმებ სასწავლო პროცესს ყველა გასათვალისწინებელი ფაქტორიდან გამომდინარე.

2.5. აკადემიის მიერ დადგენილ ვადებში ვადგენ კალენდარულ გეგმას, ვაწარმოებ პორტფოლიოს და სასწავლო პროცესს წარვმართავ კალენდარული გეგმის შესაბამისად



2.6. აკადემიის მიერ დადგენილ ვადებში ვადგენ კალენდარულ გეგმას, ვაწარმოებ პორტფოლიოს და სასწავლო პროცესს წარვმართავ კალენდარული გეგმის შესაბამისად

ვერ მოგატყუებთ

დადგენილ ვადებში ვახორციელებ აღნიშნულ აქტივობებს

სასწავლო პროცესი იმართება კალენდარული გეგმის შესაბამისად, თუმცა ლექციის პროცესის შესაძლებელია, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გაიზარდოს ინტერაქცია

აკადემიის მიერ დადგენილ ვადებში ვადგენ კალენდარულ გეგმას, ვაწარმოებ პორტფოლიოს და სასწავლო პროცესს წარვმართავ კალენდარული გეგმის შესაბამისად (გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით)

აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ დაწესებული დედლაინების დაცვით, ლექციისათვის ყოველთვის დგება წინასწარი გეგმა.

დიახ კალენდარული გეგმა საკმაოდ ამარტივებს სასწავლო პროცესის დაგეგმვას.

კალენდარულ გეგმას ყოველთვის ვადგენ მოდულის დაწყების წინ, პორტფოლიოს ვაწარმოებ სასწავლო პროცესის განმავლობაში და საკითხის დაწყებამდე ყოველთვის ვათავსებ პორტფოლიოში მასალებს


მიყვები კალენდარულ გეგმას.

ობიექტური გარემოებების გამო ზოგჯერ მიხდება გადახვევა, თუმცა ეს არ აზიანებს საერთო პროცესს.

მივყვები ხარისხის მენეჯერთან შეთანხმებულ კალენდარულ გეგმას. დღეების მიხედვით გაწერილ კალენდარულ გეგმას ძალიან კარგად ვიყენებ, რადგან მეხმარება გაკვეთილის დაგეგმვაში მოდულის დაწყების დღიდან დადგენილ ვადაში ვადგენ კალენდარულ გეგმას, ვაცხებ პორტფოლიოს და სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კალენდარული გეგმის შესაბამისად.

მივსდევ კალენდარულ გეგმას პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში ვადგენ კალენდარულ გეგმას, ვაწარმოებ პორტფოლიოს და სასწავლო პროცესს წარმართავ კალენდარული გეგმის შესაბამისად. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარურად ვაფასებ დაგეგმილი საგაკვეთილო პროცესის ეფექტურობას თვითშეფასებისა და პროფესიულ სტუდენტთაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. დადგენილ ვადებში ვადგენ კალენდარულ გეგმას და უმეტესწილად სასწავლო პროცესს წარმართავ გეგმის მიხედვით. თუ ინდივიდუალური მიდგომიდან გამომდინარე, კალენდარულ გეგმაში რაიმე ცლილება შევა, არნიშნულის შესახებ ინფორმაციას ვაწვდი შესაბამის სამსახურს.

2.7. ვამყარებ მოდულებს შორის კავშირს, რითაც ხელს ვუწყობ სწავლის შედეგებისა და მიღებული უნარების განგრძობითობას



2.8. ვამყარებ მოდულებს შორის კავშირს, რითაც ხელს ვუწყობ სწავლის შედეგებისა და მიღებული უნარების განგრძობითობას

ვცდილობ ვასწავლი ინგლისურ ენას საბაჟო საქმის პროგრამის სტუდენტებს, ვცდილობ უცხოენოვანი მასალა იყოს ისეთი შინაარსის, რომ სტუდენტებმა შეძლონ სხვა მოდულებში ნასწავლი თემები, დაუკავშირონ მოცემულ უცხოენოვან ტექსტებს. მოდული "წერილობით ტექსტზე მუშაობა" კავშირშია ყველა განსახორციელებელ მოდულთან სწავლებისას ვითვალისწინებ ყველა სხვა მოდულის შინაარსს და ვცდილობ მათ შორის რელევანტური კავშირი დაინახონ სტუდენტებმაც. ყურადღებას ვამახვილებ, სხვადასხვა მოდულების გადაკვეთის დროს. მიწევს მოდულების დაკავშირება უკეთესი შედეგების მისაღებად. პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოდულები მჭიდრო კავსირშია ერთმანეთთან. ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა მოდულის სწავლის შედეგის შეფასება ხდება ერთად, საერთო სეფასების ინსტრუმენტით

დიახ, რამდენიმე მოდული გადაბმულია, მაგალითად, ოპერაციული სისტემის ინსტალაცია და ქსელის დაგეგმვა, მისი უსფართობობა, ჩამოთვლილთანა სამივე მოდული ნამვილად ვამყარებ კავშირს;

ვცილობ სხვა მოდულების საჭიროება დავანახო ჩემი მოდულის მიზნებისათვის, განსაკუთრებით კი გამჭოლი კომპეტენციების ფარგლებში.

ნამდვილად, ახალი მოდულის სწავლა ხდება ძველის მოდულის სწავლის შედეგებსა და მიღებულ უნარებზე დაყრდნობით

მოდულის "მონაცემთა ბაზების შედგენა" პრაქტიკული დავალებები გამოვიყენე მოდულში " საბუღალტრო კომპიუტერულ პროგრამაში მუშაობა", რადგან სტუდენტებმა უკვე ნაცნობი სიტუაციები ადვილად გადაიტანეს პროგრამაში


რათქმაუნდა.

მაგალითები გავლილი და ახლანდელი მოდულის კავშირის თაობაზე.

აუცილებლად ვამყარებ მოდულების შორის კავშირს, რათა პროფესიულ სტუდენტებს ხელი შევეუწყო სწავლის პროგრესის მიყენებაში.

აუცილებლად ვამყარებ მოდულებს შორის კავშირს. საჭიროებისას სტუდენტები იხსენებენ და უკავშირებენ გავლილ ან პარალელურად მიმდინარე მოდულების თემატიკას კონკრეტულ თემებთან.

2.9. ვარჩევ სასწავლო პროცესისთვის საჭირო პროფესიულ ლიტერატურას და ვებმარები სტუდენტებს ლიტერატურის მიმართ ადეკვატური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში



2.10. ვარჩევ სასწავლო პროცესისთვის საჭირო პროფესიულ ლიტერატურას და ვებმარები სტუდენტებს ლიტერატურის მიმართ ადეკვატური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში

დაინტერესების შემთხვევაში

უმეტესწილად მიწევს ონლაინ რესურსების მოძიება, რადგან ერთი კონკრეტული სახელმძღვანელო საბაჟო საქმესთან დაკავშირებით, იცხო ენაზე, არ მოიპოვება.

სტუდენტებს მიეწოდებათ მოდულის ფარგლებში არსებული ლიტერატურა, თუმცა ხშირად მიეოწოდებთ დამატებით სასწავლო რესურსი

სტუდენტებს ვაწვდი პროფესიული ლიტერატურის კოდიფიცირებულ, განახლებულ ვერსიებს და ვაჩვენებ მათ, თავად მოიძიონ საჭირო ლიტერატურა.

მასალები და ლიტერატურა ყოველთვის იტვირთება შესაბამის facebook ჯგუფში, რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას რომ ყოველთვის ხელმისაწვდომი იყოს მისთვის.

კი მე ვარჩევ ლიტერატურას და რეკომენდაციას ვუწევ სტუდენტებს.

ვახდენ პროფესიის შესახებ კანონმდებლობის ადაპტირება სტუდენტებისთვის, ასევე ვასწავლი როგორ მოიძიონ შესაბამისი კანონი

დიახ, მოდულის ფარგლებსი დამხამრე ლიტერატურას ვაწვდი პერიოდულად, რაც ასახულია კალენდარულსი

სტუდენტებს მიცემული აქვთ ლიტერატურა, და იციან როგორ მოიძიონ საჭირო მასალა. თუმცა აგრეთვე ვუთითებთ ვიდეო გაკვეთილების ლინკებსაც

ჩემს პროფესიაში მნიშვნელოვანია საგადასახადო კოდექსის ცოდნა, ამიტომ ვცდილობ მოვიპოვო განმარტებები რომ სტუდენტებისთვის ადვილი გასაგები იყოს.


ვარჩევ მოდულის შესაბამის ლიტერატურას და ინტერნეტ რესურსებს.

კალენდარული გეგმის მიხედვით

მე, როგორც პროფესიული მასწავლებელი, ყურადღებით ვარჩევს და ვეხმარები სტუდენტებს სასწავლო პროცესისთვის საჭირო პროფესიულ ლიტერატურის და რესურსების მოძიებაში, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.

ვირჩევ სასწავლო პროცესისთვის საჭირო ლიტერატურას და ბიბლიოთეკის საშუალებით ვაწვდი მათ სტუდენტებს. ასევე ვაძლევ მითითებს დამატებით საინტერესო მასალის მოძიებისთვის.

2.11. ვიცნობ და უზრუნველვყოფ სტუდენტთა ინფორმირებას პროფესიასთან დაკავშირებული უახლესი ტექნოლოგიების შესახებ



2.12. ვიცნობ და უზრუნველვყოფ სტუდენტთა ინფორმირებას პროფესიასთან დაკავშირებული უახლესი ტექნოლოგიების შესახებ

სწავლების პროცესში მუდმივად ვცდილობ ყველა სიახლე მივაწოდო სტუდენტებს, რომელიც კი შეიძლება გამოადგეთ

ნეკლებად მიმიწვდება ხელი, მათი პროფესიის უახლესი ტექნოლოგიების შესახებ.

მიმდინარე სასწავლო პროცესში, მოდულების განხორციელებისას, არ დამდგარა აღნიშნული ფაქტი

შეიძლება ითქვას, რომ ჩემი სამუშაო ადგილიდან გამომდინარე, ტექნოლოგიური თუ სხვა ტიპის სიახლეების ეპიცენტრში ვარ და შესაბამისად, უზრუნველვყოფ სტუდენტების ინფორმირებასაც. ვაძლევ მითითებებს, ინტერნეტის გამოყენებით მოიძიონ ინფორმაცია მსოფლიოს უახლეს, ინოვაციური პროდუქტებზე.

პროგრამაში მუშაობა ჩვენი პროფესიის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ მუდმივად თვალს ვადევნებ ცვლილებებს.

არ ვასწავლი დარგობრივ მოდულს. ამიტომაც ასეთ შესაძლებლობას მოკლებული ვარ.

დიახ, ვაჩვენებ დასაქმების შესაზლებლობებს და მის პერსპექტივებს.

ჩემი მოდული მოითხოვს სტუდენტების ინფორმირებას ამ კუთხით მაცნეს საშუალებით ვეცნობი ახალ ნორმატიულ აქტებსა და ფინანსთა მინისტრის ბრძანებებს.ამასთან ვესწრები ტრენინგებს სადაც განიხილება სიახლეები პროფესიაში, მათ შორის უახლესი ტექნოლოგიების შესახებ.


